

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	2
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	4
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	5-57

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ ხელმძღვანელობასა და პარტნიორებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის – შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურის“ (შემდგომში „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“) (ერთობლივად – „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს ჯგუფის 2018 წლის ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ჯგუფის 2018 წლის წლიური ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად ისინი გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ გამოვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ექვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ჯგუფი ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება.
- ▶ ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიან წარდგენა.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

28 მარტი, 2019 წ.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშ- ვნები	2018 აშშ დოლარი	2017 აშშ დოლარი
შემოსავალი	5	27,142,656	31,042,977
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	6	(24,887,495)	(29,419,283)
საერთო მოგება		2,255,161	1,623,694
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(5,636,027)	(11,152,421)
გრძელვადიანი აქტივების ცვეთა	3	(7,214,483)	–
საოპერაციო ზარალი		(10,595,349)	(9,528,727)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	8	179,903	75,555
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	8	(1,990,555)	(2,098,410)
საკუროსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/ზარალი		52,148	(240,403)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	9	763,269	6,130,214
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	9	(1,663,944)	(6,204,169)
ზარალი გადასახადით დაბეგრამდე		(13,254,528)	(11,865,940)
მოგების გადასახადის ხარჯი	10	–	(136,768)
წლის ზარალი		(13,254,528)	(12,002,708)
სხვა სრული (ზარალი)/შემოსავალი			
სხვა სრული ზარალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიცირებაც არ ხდება			
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	3	(14,085,228)	–
სხვა სრული (ზარალი)/შემოსავალი, რომელიც შემდეგ პერიოდებში რეკლასიფიცირდება მოგების ან ზარალის მუხლში			
საკუროსო სხვაობა უცხოური ოპერაციების სხვა ვალუტაში გადაყვანისას		(1,617,527)	975,336
წლის მთლიანი სრული ზარალი		(28,957,283)	(11,027,372)

ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2019 წლის 28 მარტს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი /
მმართველი დირექტორი ეკონომიკისა და ფინანსების
მიმართულებით

დამირ მუსლიმოვი

უფროსი ბუღალტრის მოადგილე ფასს-ების და საბაზინო
ოპერაციების მიმართულებით

თემირხან მამეშოვი

5-57 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშ- ვნები	31 დეკემბერი, 2018 წ. <i>აშშ დოლარი</i>	31 დეკემბერი, 2017 წ. <i>აშშ დოლარი</i>
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	129,489,304	157,715,029
არამატერიალური აქტივები	12	3,432,483	3,717,147
საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	22.1	1,339,263	1,200,259
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	22.3	216,153	216,143
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები		10,723	68,676
სულ გრძელვადიანი აქტივები		134,487,926	162,917,254
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	13	2,118,771	2,734,180
წმინდა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	14	1,157,946	1,870,079
ავანსები		116,624	141,378
წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	15	16,256,860	16,548,700
საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი	22.1	540,767	540,767
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი	22.3	39,781	39,993
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16	1,201,869	625,537
სულ მიმდინარე აქტივები		21,432,618	22,500,634
სულ აქტივები		155,920,544	185,417,888
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	910,765	910,765
გადაფასების რეზერვი	17	63,626,109	80,465,847
საკურსო სხვაობის რეზერვი		(18,286,985)	(16,669,458)
გაუნაწილებელი მოგება		2,307,783	12,201,197
სულ კაპიტალი		48,557,672	76,908,351
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი	22.6	905,000	905,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		905,000	905,000
მიმდინარე ვალდებულებები			
პროცენტის სესხები	18	45,117,662	43,127,107
მოგების გადასახადის დავალიანება		3,124,991	3,314,652
საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა	15	12,612,404	13,067,965
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	19	43,971,769	44,805,528
ანარიცხები	20	653,892	666,048
სახელშეკრულებო ვალდებულებები		977,154	2,623,237
სულ მიმდინარე ვალდებულებები		106,457,872	107,604,537
სულ ვალდებულებები		107,362,872	108,509,537
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		155,920,544	185,417,888

5-57 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	საკუროსო სხვაობის რეზერვი	გაუნაწილე- ბელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	910,765	84,380,384	(17,497,263)	20,181,390	87,975,276
წლის ზარალი	–	–	–	(12,002,708)	(12,002,708)
საკუროსო სხვაობებიდან მიღებული სხვა სრული შემოსავალი	–	147,531	827,805	–	975,336
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	–	147,531	827,805	(12,002,708)	(11,027,372)
ცვეთის გადატანა	–	(4,022,515)	–	4,022,515	–
გაყიდული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის შემცირება	–	(39,553)	–	–	(39,553)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	910,765	80,465,847	(16,669,458)	12,201,197	76,908,351
ბუღალტრული აღრიცხვის ახალი სტანდარტის მიღების ეფექტი (2.4 შენიშვნა)	–	–	–	(52,290)	(52,290)
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	910,765	80,465,847	(16,669,458)	12,148,907	76,856,061
წლის ზარალი	–	–	–	(13,254,528)	(13,254,528)
ძირითადი საშუალებების გაუფასურებით გამოწვეული სხვა სრული ზარალი	–	(14,085,228)	–	–	(14,085,228)
საკუროსო სხვაობებიდან მიღებული სხვა სრული ზარალი	–	–	(1,617,527)	–	(1,617,527)
წლის მთლიანი სრული ზარალი	–	(14,085,228)	(1,617,527)	(13,254,528)	(28,957,283)
ცვეთის გადატანა	–	(3,413,404)	–	3,413,404	–
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	910,765	63,626,109	(18,286,985)	2,307,783	48,557,672

5-57 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშ- ვნები	2018 აშშ დოლარი	2017 აშშ დოლარი
საოპერაციო საქმიანობა			
ზარალი გადასახადით დაბეგრამდე		(13,254,528)	(11,865,940)
<i>არაფულადი კორექტირებები დაბეგრამდე ზარალის წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით</i>			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	11	7,629,180	8,562,789
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	12	195,711	140,131
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	14	1,307,667	3,303,933
ანარიცხები ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსებისთვის		–	1,801,409
ავანსების ჩამოწერა		–	127,338
მოძრაობა ანარიცხებში	20	(12,156)	(47,732)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	11	7,214,483	–
ძირითადი საშუალებების ჩამოწერასთან დაკავშირებული დანაკარგები	9	86,471	144,161
საკუროს სხვაობიდან მიღებული წმინდა (შემოსულობა)/ზარალი			
ფინანსურ და საინვესტიციო საქმიანობაში		(260,555)	99,081
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	8	1,990,555	2,098,410
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	8	(179,903)	(75,555)
<i>საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებები</i>			
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		615,409	2,686,122
ცვლილება სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში		(647,824)	(2,431,139)
ცვლილება საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნებში		(134,004)	(168,171)
ცვლილება გადახდილ ავანსებში		24,754	96,704
ცვლილება წინასწარ გადახდილ გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა		291,840	(313,787)
ცვლილება საგადასახადო დავალიანებაში, მოგების გადასახადის გათვალისწინების გარეშე		(455,561)	788,457
ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		(592,621)	756,896
სახელშეკრულებო ვალდებულებების ცვლილება		(1,646,083)	2,222,383
		2,167,538	7,925,490
გადახდილი მოგების გადასახადი		(189,661)	(574,004)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		1,977,877	7,351,486
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(1,532,618)	(4,992,389)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(14,000)	(255,714)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი		–	122
შემოსავალი ფინანსურ იჯარიდან		–	35,135
მიღებული პროცენტი	8	145,073	38,465
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,401,545)	(5,174,381)
ფინანსური საქმიანობა			
ამონაგები სესხებიდან		–	3,200,000
სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების დაფარვა		–	(5,900,000)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული/ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		–	(2,700,000)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/ (შემცირება)		576,332	(522,895)
წმინდა საკუროს სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე ნაღდი ფული 1 იანვარს	16	625,537	1,121,692
ნაღდი ფული 31 დეკემბრის	16	1,201,869	625,537

5-57 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს ქალაქ ბათუმში დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის ოფიციალური მისამართია მაიაკოვსკის ქ. 4, ბათუმი, საქართველო.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში ერთობლივად – „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ ინფორმაციას. კომპანია ახორციელებს კონტროლს მის შვილობილ კომპანიაზე – შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“ (შემდგომში „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“) 49-წლიანი ვადით, ბათუმის საზღვაო ნავსადგურში სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მართვის ექსკლუზიური უფლების გადაცემის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც 2006 წლის 22 ივლისს გაფორმდა.

სს „ყაზტრანსოილი“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“ ან „ყაზტრანსოილი“) ჯგუფის ერთპიროვნული მფლობელია. მშობელი კომპანია დაფუძნებულია და საქმიანობას ეწევა ყაზახეთში.

ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა (შემდგომში „საბოლოო მშობელი კომპანია“) ყაზახეთის სახელმწიფო ფონდი „სამრუკ კაზინა“, რომელსაც ფლობს და აკონტროლებს ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობა.

ჯგუფი ფლობს და მართავს საქართველოში, ქალაქ ბათუმში მდებარე მრავალფუნქციურ საზღვაო ნავსადგურს (შემდგომში „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“). ბათუმის საზღვაო ნავსადგური მოიცავს ნავთობტერმინალებს, საკონტეინერო ტერმინალს, სანავმისადგომო კომპლექსს ბორნების მომსახურებისათვის, მშრალი ტვირთების ტერმინალს და სამგზავრო ტერმინალებს. მშრალი ტვირთების, ნავთობის და სამგზავრო ტერმინალებს, ასევე სანავსადგურო მომსახურებას მართავს ჯგუფი. საკონტეინერო და საბორნე ტერმინალები იჯარით არის გადაცემული სხვა ოპერატორებზე (22-ე შენიშვნა).

ჯგუფის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულია აქციონერების მიერ პარტნიორთა კრებაზე. ამ უკანასკნელის ჩატარება იგეგმება მომდევნო წელს.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

2.1 მომზადების საფუძველი

ჯგუფის წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („IASB“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ძირითადი საშუალებებისა, რომლებიც წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით.

წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია წინა პერიოდის შესადარისი ინფორმაცია.

2.2 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანია იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

კერძოდ, კომპანია აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ▶ მას აქვს ინვესტიციის ობიექტზე ზეგავლენა (ანუ ამჟამინდელი უფლებები მას საშუალებას აძლევს, მართოს ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა);
- ▶ ის იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ცვლადი უკუგება ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან;
- ▶ მას შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება, ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების დასადასტურებლად და როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე ახორციელებს თუ არა კონტროლს, კომპანია ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ▶ სახელშეკრულებო გარიგება/გარიგებები ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან;
- ▶ სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ▶ კომპანიის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები;

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.2 კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

კომპანია ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც იგი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, შვილობილ საწარმოზე კომპანიის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

შვილობილი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, საოპერაციო საქმიანობის შედეგები და ფულადი ნაკადები მზადდება ანგარიშგების იმავე პერიოდისთვის, რომლისთვისაც მზადდება კომპანიის ანგარიშგება, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება.

თუ კომპანია დაკარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი წყვეტს შესაბამისი აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას, ხოლო შედეგად მიღებული შემოსულობას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ბათუმის საზღვაო ნავსადგურს აკონტროლებს მართვის უფლების ექსკლუზიური ხელშეკრულებით, რომელიც 2006 წლის 22 ივლისს გაფორმდა (შემდგომში „მართვის ხელშეკრულება“). მართვის ხელშეკრულება კომპანიას სრულ უფლებამოსილებას ანიჭებს, მართოს და უხელმძღვანელოს ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ფუნქციონირებას 2055 წლამდე და ამ პერიოდის განმავლობაში აქვს ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მოგების მიღების უფლება. კომპანიას შეზღუდული აქვს უძრავი ქონების გასხვისების და/ან დაგირავების უფლება, რომლის წმინდა საბალანსო ღირებულება აღემატება 500,000 აშშ დოლარს, ასევე ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ლიკვიდაციის, შერწყმის, გაყოფის და/ან რეორგანიზაციის უფლება საქართველოს სახელმწიფოსგან წერილობითი თანხმობის გარეშე; ის ვალდებულია შეინარჩუნოს ნავსადგურის საქმიანობების გარკვეული დონე (22.5 შენიშვნა);

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

(ა) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ამერიკის შეერთებული შტატების დოლარში (შემდგომში „აშშ დოლარი“), რომელიც ასევე არის ჯგუფის სამუშაო ვალუტა, თუ სხვა ვალუტა არ არის მითითებული. ბათუმის საზღვაო ნავსადგურის სამუშაო ვალუტა ქართული ლარია (შემდგომში „ლარი“). აშშ დოლარში წარმოდგენილი ყოველგვარი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ათასამდე.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან ჯგუფის ეკონომიკური ერთეულების მიერ აღირიცხება მათ შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით. სხვაობები აღიარებულია სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

კონსოლიდაციისას საზღვარგარეთ წარმოებული ოპერაციების აქტივები და ვალდებულებები აშშ დოლარში გადაიყვანება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსით, ხოლო მათი მოგება-ზარალის ანგარიშგება გადაიყვანება იმ სავალუტო კურსებით, რომლებიც მოქმედებს შესაბამისი ოპერაციების დღეს. კონსოლიდაციისთვის აუცილებელი კონვერტაციის შედეგად მიღებული საკურსო სხვაობების აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში.

(ბ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე- და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე- და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

(გ) შემოსავლის აღიარება

მომხმარებელბთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა კლიენტს ანაზღაურების შესაბამისი ოდენობით, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის და მომსახურების სანაცვლოდ.

ჯგუფი შემოსავლებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს სპეციალურ კრიტერიუმებს ადარებს, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი პრინციპალად თუ პრინციპალის აგენტ მხარედ გამოდის.

ჯგუფმა დაასკვნა, რომ ის პრინციპალის სახით მოქმედებს შემოსავლების მომტან გარიგებებში (რადგან ის, ჩვეულებრივ, აკონტროლებს საქონელს და მომსახურებას მათი კლიენტისთვის გადაცემამდე).

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფი ზოგადად აღიარებს შემდეგი ტიპის შემოსავლებს:

გადატვირთვის მომსახურება

შემოსავალი მშრალი ტვირთის გადატვირთვის და საპორტო მომსახურებებიდან აღიარდება ანგარიშგების პერიოდში ტრანსპორტირებული მშრალი ტვირთის ფაქტიური მოცულობის და გაწეული სანავსადგურო მომსახურების საფუძველზე.

საიჯარო შემოსავალი

საოპერაციო იჯარიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აისახება შემოსავლის ნაწილში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი აღრიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით (EIR), რომელიც ზუსტად ახორციელებს მომავალში მოსალოდნელი შემოსავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

სახელშეკრულებო ნაშთები

სახელშეკრულებო აქტივები

სახელშეკრულებო აქტივი წარმოადგენს უფლებას კლიენტისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურებების სანაცვლოდ გადახდილ საფასურზე. თუ ჯგუფი კლიენტს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს კლიენტის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელშეკრულებო აქტივის აღიარება ხდება პირობითად მიღებული ანაზღაურებისთვის. ჯგუფი არ ფლობს სახელშეკრულებო აქტივებს.

მოთხოვნა წარმოადგენს ჯგუფის უფლებას ანაზღაურების თანხაზე, რომელიც არ არის პირობითი (ანუ მხოლოდ დროის გასვლაა აუცილებელი ანაზღაურების გადახდის თარიღის დადგომამდე).

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის ვალდებულებას, რომლისთვისაც ჯგუფს კლიენტისგან მიღებული აქვს ანაზღაურება (ან გადახდა მომავალში მოხდება). თუ კლიენტი გადახდას განახორციელებს ჯგუფის მიერ მისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემამდე, სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება მოხდება ღირებულების გადახდისას ან მისი გადახდის ვადის დადგომისას (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი). სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება შემოსავლად მაშინ, როდესაც ჯგუფი გასწევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) გადასახადები

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება (მე-10 შენიშვნა). მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. ამგვარი მოგება დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებით ღირებულების გადასახადს.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აისახება წინასწარ გადახდილი გადასახადების ნაწილში, მოგების გადასახადის გარდა, ან როგორც საგადასახადო დავალიანება.

(ე) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გადაფასების თარიღის შემდეგ აღიარებული გაუფასურების ზარალი. შეფასება ხდება საკმარისი სიხშირით, რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება აუცილებელი, ჯგუფი ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო გამოყენების ვადით და შესაბამისად აღრიცხავს ცვეთას. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

გადაფასების ყოველგვარი ნამეტი მიეკუთვნება აქტივების გადაფასების რეზერვს და შედის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების კაპიტალის ნაწილში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი შეაბრუნებს ამავე აქტივის გადაფასების შედეგად შემცირებულ ღირებულებას, რომელიც მანამდე ხარჯად იყო აღიარებული. ასეთ შემთხვევაში ღირებულების გაზრდის აღიარება ხდება გადაფასების შედეგად მიღებული შემოსულობის სახით. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება ხარჯის სახით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი გაქვითავს ამავე აქტივზე არსებულ ნამეტს, რაც აღიარებულია აქტივის გადაფასების რეზერვში.

აქტივების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივების გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივების თავდაპირველი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობით.

გარდა ამისა, გადაფასების თარიღისთვის დაგროვილი ცვეთა ჩამოიწერება აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან და წმინდა ღირებულების გადაანგარიშება ხდება აქტივის გადაფასებული ღირებულების მისაღებად. გასხვისებისას, გაყიდულ, იჯარით გაცემულ ან ლიკვიდირებულ კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	1-65 წელი
ტრანსპორტი	1-25 წელი
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	1-50 წელი
სხვა უძრავი აქტივები	1-50 წელი

აქტივების ცვეთა იწყება მათი შემენის მომდევნო თვიდან, ან, შიდა რესურსებით აშენებული აქტივების შემთხვევაში, აქტივის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღების წლიდან. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც სხვაობა გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შედის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები ყოველწლიურად გადაისინჯება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისად კორექტირდება.

(ვ) იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა იჯარას, ხდება იჯარის ვადის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება ფასდება იმისდა მიხედვით, მისი შესრულება დამოკიდებულია თუ არა გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე ან შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს უფლება მკაფიოდ არ არის განსაზღვრული შეთანხმებაში.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად იჯარის საწყისი თარიღით. იჯარა, რომელიც ჯგუფს გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური იჯარა კაპიტალიზდება იჯარის დაწყებისთანავე იჯარის საწყისი თარიღისთვის საიჯარო ქონების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახადის დღევანდელ ღირებულებას შორის უმცირესით. საიჯარო გადასახადები ნაწილდება ფინანსურ დანახარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის იმგვარად, რომ წარმოიქმნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური ხარჯების აღიარება ხდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

იჯარით გადაცემული აქტივი ცვდება მისი სასარგებლო გამოყენების მთლიანი ვადის განმავლობაში. ამის მიუხედავად, თუ ნაკლებ სავარაუდოა ჯგუფის მიერ საიჯარო ვადის ბოლოსთვის საკუთრების შეძენა, აქტივი ცვდება სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადასა და საიჯარო ვადას შორის უმცირესი ვადის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

ჯგუფი, როგორც მეიჯარე

იჯარა, რომლის დროსაც ჯგუფი არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება საიჯარო ვადაზე საიჯარო შემოსავლის ანალოგიურად. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

იჯარას, რომლის ფარგლებშიც ჯგუფი გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, ფინანსური იჯარა ეწოდება. მიღებული იჯარა გადანაწილდება ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალსა და იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების შემცირებას შორის, რათა მიღწეული იქნეს უცვლელი საპროცენტო განაკვეთი მოთხოვნების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ი) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვის ჯგუფისეულ ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფი პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომელიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც ჯგუფმა პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება გარიგების ფასით, რომელიც ფასს (IFRS) 15-ით (ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან) განისაზღვრება.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე.

ჯგუფის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ორგანიზაცია თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნეს-მოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფი იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

ჯგუფის ფინანსური აქტივები მოიცავს თანხებს საკრედიტო ინსტიტუტებში და სავაჭრო დებიტორული დავალიანებებს.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები);
- ▶ სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- ▶ მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

(i) ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ჯგუფისთვის ყველაზე აქტუალურია. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ჯგუფის ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო დებიტორული დავალიანებებს და საკრედიტო ინსტიტუტებში არსებულ თანხებს (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო დეპოზიტები).

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა, ან
- ▶ ჯგუფი დათმობს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან იტოვებს ამგვარ უფლებას, მაგრამ აიღებს მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულებას; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებას ან გააფორმა ხელშეკრულება ამაზე, და არც გადაუცია და არც დაუტოვებია აქტივთან დაკავშირებული ძირითადი რისკები და სარგებელი, და არც კონტროლი გადაუცია აქტივზე, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება მონაწილეობის შენარჩუნების პირობით.

ასეთ შემთხვევაში ჯგუფი მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ჯგუფის მიერ შენარჩუნებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელიც იძენს ერთგვარი გარანტიის ფორმას გადაცემულ აქტივზე, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- ▶ განმარტებითი შენიშვნები მნიშვნელოვანი დაშვებების შესახებ (მე-3 შენიშვნა);
- ▶ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (მე-14 შენიშვნა).

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის ჯგუფი. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება მსგავსი ინსტრუმენტის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მსგავს საკრედიტო რეიტინგთან მიახლოების გზით.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფმა შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო დეპოზიტები), ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდეგ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, დებიტორული დავალიანება ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა, და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, ამას ემატება მათთვის პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება მიეკუთვნება სესხების კატეგორიას და მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სესხებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველი აღიარება შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დარიცხული ამორტიზაციის პროცესში.

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(iv) ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით აფასებს თითოეული საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედეგად:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე სახარბიელო ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ჯგუფისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან მისი მიყიდვით ბაზრის სხვა მონაწილისათვის, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებშიც მაქსიმალურად გამოიყენება ემპირიული მონაცემები და მინიმალურად – არაემპირიული მონაცემები.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების აქტიურ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს ჯგუფი განსაზღვრავს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, ჯგუფმა განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

(თ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მასალები, სათადარიგო ნაწილები და სხვა მოხმარების საგნები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ღირებულებით, რომელსაც ემატება ტრანსპორტირების და ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ხარჯებად ტარდება „პირველი შემოსული პირველი გადის“ (FIFO) მეთოდის გამოყენებით.

(ი) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ჯგუფი განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი და განისაზღვრება თითოეული აქტივისთვის ცალკე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და დაიყვანება მის აღდგენით ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო ოპერაციების გათვალისწინებით. ამ გამოთვლების დასაბუთება ხდება შეფასების კოეფიციენტებით ან სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი გაუფასურებას დეტალური ბიუჯეტების და ფინანსური პროგნოზების საფუძველზე გამოითვლის. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ 13-წლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ცამეტი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების ჩათვლით, აღიარებულია სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების ხარჯების კატეგორიებში, გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამისად, გარდა იმ ქონებისა, რომელიც მანამდე გადაფასდა და გადაფასება აისახა სხვა სრულ შემოსავალში. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების აღიარებაც სხვა სრულ შემოსავალში მოხდება ნებისმიერი მანამდე მომხდარი გადაფასების თანხამდე.

(კ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს მიეკუთვნება ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში და ბანკში. ნაღდი ფული ბანკში მოიცავს პროცენტთან მიმდინარე ანგარიშებს.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების მიზნებისთვის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთებისგან ბანკში და სალაროში.

(ლ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მათ დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

(მ) არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით აღირიცხება. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივების ღირებულება წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ჯგუფის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია, გარდა კვლევა-განვითარების კაპიტალიზებული ხარჯებისა, არ ხდება და ხარჯი აისახება მოგებაში ან ზარალში იმ წლისთვის, რომლის განმავლობაშიც ეს ხარჯი გაიწია.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა განსაზღვრული ვადით ფასდება.

შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე.

ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

ჯგუფი არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

(6) ოპერაციები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან ყველა ოპერაცია ფასდება თვითღირებულებით, თუ სხვა რამეს არ ითვალისწინებს ფასს, მაგალითად ფასს (IFRS) 2 „წილობრივი გადახდა“ ან ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“. იმ შემთხვევაში, თუ გარიგებები არ შეიცავს საზღაურს, მაშინ მათი ღირებულება ნულით ფასდება.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ჯგუფმა პირველად გამოიყენა ფასს (IFRS) 9 და ფასს (IFRS) 15. ამ სააღრიცხვო სტანდარტების მიღებით გამოწვეული ცვლილებების ხასიათი და ეფექტი ქვემოთ არის აღწერილი.

რამდენიმე სხვა ცვლილება და ინტერპრეტაცია პირველად იქნა გამოყენებული 2018 წელს, თუმცა მათ არ ჰქონიათ გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

ფასს (IFRS) 15 – ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს (IFRS) 15 ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 11-ს (*სამშენებლო ხელშეკრულებები*), ბასს (IAS) 18-ს (*შემოსავალი*) და შესაბამისი ინტერპრეტაციები და შეზღუდული გამონაკლისის სახით იყენებს მათ მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან ყველა ამონაგებთან მიმართებაში. ფასს (IFRS) 15 ადგენს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი შემოსავლის აღრიცხვის ხუთ-საფეხურიან მოდელს და მოითხოვს, რომ ამგვარი შემოსავლების აღიარება მოხდეს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

ეს სტანდარტი საწარმოებისგან მოითხოვს მსჯელობის გამოყენებას და ყველა შესაბამისი ფაქტის და ვითარების გათვალისწინებას მოდელის ყველა საფეხურზე მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სტანდარტი ასევე განსაზღვრავს ხელშეკრულების მიღებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების და ხელშეკრულების შესრულებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვას.

ჯგუფმა ახალი სტანდარტი მისი ძალაში შესვლის თარიღში მიიღო. ჯგუფმა ჩაატარა ფასს (IFRS) 15-ის მიღების გავლენის დეტალური ანალიზი, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სტანდარტის მიღებას ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე გავლენა არ ჰქონია.

a) მომსახურების გაწევა

ჯგუფი გადატვირთვის და საპორტო მომსახურებებიდან მიღებულ ამონაგებს გაწეული მომსახურებების ფაქტიურ მოცულობაზე დაყრდნობით აღიარებს. ფასს (IFRS) 15-ის გამოყენება მომსახურების ხელშეკრულებებთან მიმართებაში არ მოქმედებს ჯგუფის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგების შემოსავალზე.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 15-ის გამოყენებისას ჯგუფი ითვალისწინებს შემდეგს:

i) ცვალებადი ანაზღაურება

ფასს (IFRS) 15-ის მიხედვით, სავალდებულოა სავარაუდო ცვალებადი ანაზღაურების შეზღუდვა შემოსავლის გადაჭარბებით აღიარების თავიდან ასაცილებლად. ცვალებადი ანაზღაურება შესული არ არის მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, ფასდაკლებების, საკრედიტო გადახდების ფასდათმობების, შეღავათების, შედეგებზე დაფუძნებული ბონუსების ან სხვა მსგავსი ერთეულების არარსებობის გამო. შესაბამისად, სტანდარტის ხსენებულ განახლებას არ ექნება გავლენა ჯგუფის შემოსავლის აღიარებაზე.

ii) პრინციპალის და აგენტის საკითხები

ფასს (IFRS) 15 მოითხოვს იმის შეფასებას, ჯგუფი აკონტროლებს თუ არა კონკრეტულ საქონელს ან მომსახურებას, მის მომხმარებელზე/მომხმარებლის კლიენტზე გადაცემამდე. ჯგუფი განსაზღვრავს, რომ ის მოქმედებს პრინციპალის სახით ყველა ხელშეკრულებაში, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის აღიარება (რადგან ის აკონტროლებს დაპირებულ მომსახურებას მის მომხმარებლისთვის ან მომხმარებლის კლიენტისთვის გაწევამდე).

iii) მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები

მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები სახელშეკრულებო ვალდებულებებს წარმოადგენს. სახელშეკრულებო ვალდებულებები არის საქონლის ან მომსახურების მყიდველის წინაშე არსებული ვალდებულებები, ვისგანაც ჯგუფმა მიიღო შესაბამისი ანაზღაურება. თუ მყიდველი ანაზღაურებას მოახდენს ჯგუფის მიერ მისთვის პროდუქტის ან მომსახურების გადაცემამდე (გაწევამდე), სახელშეკრულებო ვალდებულება აღიარდება გადახდის განხორციელების მომენტში ან იმ დროს, როდესაც გადახდის ვალდებულება დადგება (რომელსაც ადრე ექნება ადგილი). სახელშეკრულებო ვალდებულებების შემოსავლად აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი შეასრულებს შესაბამის ვალდებულებებს.

ფასს (IFRS) 15-ის ფარგლებში, ჯგუფმა უნდა განსაზღვროს არსებობს თუ არა მას ხელშეკრულებებში მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტი.

ჯგუფი თავისი მომხმარებლებისგან მხოლოდ მოკლევადიან ავანსებს იღებს. ისინი აისახება სახელშეკრულებო ვალდებულებების ნაწილის სახით. ჯგუფმა განსაზღვრა, რომ პერიოდი ჯგუფის მიერ მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევიდან, მომსახურების ანაზღაურებამდე შედარებით მოკლეა. შესაბამისად, ჯგუფმა დაასკვნა, რომ ხსენებული ხელშეკრულებები არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

b) წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნები

ჯგუფმა შეაფასა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და მასში ინფორმაციის წარმოდგენის მოთხოვნები და დაასკვნა, რომ მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით საჭირო არ არის დამატებითი ინფორმაციის წარდგენა.

ფასს (IFRS) 9 – ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს (IFRS) 9 (ფინანსური ინსტრუმენტები) ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 39-ს (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება) 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული და ამ თარიღის შემდეგ ყოველწლიური პერიოდებისთვის. ეს სტანდარტი ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა.

ჯგუფმა ფასს (IFRS) 9 რეტროსპექტულად გამოიყენა, თავდაპირველად 2018 წლის 1 იანვარს. ჯგუფის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება არ მოახდინოს შედარებადი ინფორმაციის გადანგარიშება 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული და შემდგომი პერიოდისთვის, რადგან:

- ▶ შედარებადი ინფორმაცია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ განხილულია ბასს (IAS) 39-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნების შესაბამისად (მე-14, მე-16 და მე-19 შენიშვნები);
- ▶ 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის ცვლილება კაპიტალში აღირიცხება ცვლილებების საბოლოო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. ამგვარი ცვლილების თანხა შეადგენს 52,290 აშშ დოლარს და ის სავაჭრო დებიტორული დავალიანებებს უკავშირდება.

a) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში, სასესხო ფინანსური ინსტრუმენტები შემდგომში ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. კლასიფიკაცია ორ კრიტერიუმს ეფუძნება: ჯგუფის მიერ ფინანსური აქტივების სამართავად გამოყენებული ბიზნეს მოდელი; და განსაზღვრება იმისა, ხომ არ წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტებისთვის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები 'ძირი თანხის და პროცენტის ერთპიროვნულ გადახდებს' დაუფარავ ძირ თანხაზე.

ჯგუფის ბიზნეს მოდელის შეფასება განხორციელდა სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღში – 2018 წლის 1 იანვარს და ის ეფუძნებოდა აქტივების თავდაპირველი აღიარების მდგომარეობით არსებულ ფაქტებს და ვითარებებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 9-ის კლასიფიცირების და შეფასების მოთხოვნებს არ ჰქონიათ გავლენა ჯგუფზე. ახალი მოთხოვნების საფუძველზე, ჯგუფი კვლავ ახდენს მისი ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით კლასიფიცირებას.

b) გაუფასურება

ფასს (IFRS) 9-ის მიღებამ შეცვალა ჯგუფის მიერ ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის აღრიცხვა, ბასს (IAS) 39-ის განცდილი ზარალის მიდგომის მომავალზე ორიენტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომით ჩანაცვლების გზით. ფასს (IFRS) 9 ჯგუფისგან მოითხოვს აღიაროს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში და ასევე სახელშეკრულებო აქტივებისთვის.

ფასს (IFRS) 9-ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოთხოვნების მიღებამ გამოიწვია ჯგუფის სასესხო ფინანსური აქტივების რეზერვის 52,290 აშშ დოლარით ზრდა 2018 წელს.

ფასიკ (IFRIC) ინტერპრეტაცია 22 „ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად“

ინტერპრეტაციის თანახმად, წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის არაერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, საწარმომ თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე უნდა განსაზღვროს ოპერაციის თარიღი. ვინაიდან ჯგუფის არსებული პრაქტიკა შეესაბამება ინტერპრეტაციას, ამ უკანასკნელის გამოყენებას გავლენა არ ჰქონია მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ბასს (IAS) 40-ის ცვლილება საინვესტიციო ქონების გადატანა

ცვლილებები განმარტავს, როდის უნდა გადაიტანოს საწარმომ ქონება, მათ შორის სამშენებლო ან მოწყობითი სამუშაოების პროცესში მყოფი ქონება, საინვესტიციო ქონებაში ან საინვესტიციო ქონებიდან. ცვლილებების თანახმად, დანიშნულების შეცვლა ხდება, როდესაც ქონება აკმაყოფილებს, ან აღარ აკმაყოფილებს, საინვესტიციო ქონების განმარტებას და არსებობს გამოყენებული ცვლილების განმარტება. მხოლოდ ხელმძღვანელობის მიერ ქონების ექსპლუატაციის განზრახვის შეცვლა არ წარმოადგენს ქონების დანიშნულების შეცვლისთვის საკმარის მტკიცებულებას. ამ ცვლილებებს გავლენა არ აქვს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 2-ის ცვლილება – აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების კლასიფიკაცია და შეფასება

ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ფასს 2-ში „*აქციებზე დაფუძნებული გადახდა*“, რომლებიც ეხება სამ ძირითად საკითხს: უფლების გადაცემის პირობების გავლენა ფულით განსაზღვრული წილობრივი გადახდის გარიგებებზე; ურთიერთგაქვითვის პირობის მქონე აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციის კლასიფიკაცია დაკავებული გადასახადის ვალდებულებებისთვის; და ბუღალტრული აღრიცხვა ისეთ შემთხვევებში, როდესაც აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციის პირობების შეცვლის შედეგად, იგი ფულით განსაზღვრულის კატეგორიიდან წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრულ კატეგორიაში გადადის. ცვლილების მიღებისას საწარმოებს მოეთხოვებათ ცვლილებების გამოყენება წინა პერიოდების გადაანგარიშების გარეშე. ამასთან რეტროსპექტულად გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ საწარმო მას გამოიყენებს სამივე ცვლილების შემთხვევაში და ასევე დაკმაყოფილდება სხვა კრიტერიუმებიც. ჯგუფი არ აწარმოებს აქციებზე დაფუძნებულ გადახდის ოპერაციებს და, შესაბამისად, მოცემულ ცვლილებას არსებითი გავლენა არ აქვს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს (IFRS) 4-ში – ფასს (IFRS) 9-ის (ფინანსური ინსტრუმენტები) გამოყენება ფასს (IFRS) 4-თან (სადაზღვევო ხელშეკრულებები) ერთად

ცვლილებები ეხება საკითხებს, რომლებიც წამოიჭრა ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ახალი სტანდარტის – ფასს (IFRS) 9-ის დანერგვის შედეგად, ფასს (IFRS) 17-ის (სადაზღვევო ხელშეკრულებები) დანერგვამდე, რომელიც ჩაანაცვლებს ფასს (IFRS) 4-ს. ეს ცვლილებები საწარმოებს სადაზღვევო ხელშეკრულებების გაფორმების ორ ვარიანტს სთავაზობს: დროებითი გამონაკლისი ფასს (IFRS) 9-ის გამოყენებიდან და „გადაფარვის“ მიდგომა. ისინი არ არიან აქტუალური ჯგუფისთვის.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ბასს (IAS) 28-ის ცვლილება „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ – განმარტება, რომ ინვესტიციის ობიექტების სამართლიანი ღირებულებით შეფასება მოგებაში ან ზარალში ასახვით თითოეული ინვესტიციის შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა მოხდეს

ცვლილებები განმარტავს, რომ საწარმოს, რომელიც არის სარისკო კაპიტალის ორგანიზაცია ან სხვა ნებადართული საწარმო, შეუძლია სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში შეაფასოს მისი ინვესტიცია მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში თითოეული ინვესტიციის შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას, მათი ინდივიდუალურად განხილვის საფუძველზე. თუ ჯგუფი თავად არ წარმოადგენს საინვესტიციო საწარმოს, მაგრამ ფლობს წილს მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში, რომელიც თავის მხრივ საინვესტიციო საწარმოა, მას აქვს უფლება, კაპიტალ-მეთოდის გამოყენებისას, შეინარჩუნოს ხსენებული მეკავშირე საინვესტიციო საწარმოს ან ერთობლივი საინვესტიციო საწარმოს მიერ მათ შვილობილ კომპანიებში ფლობილი წილის მიმართ გამოყენებული სამართლიანი ღირებულებით შეფასება. ეს არჩევანი კეთდება ინდივიდუალურად, თითოეული საინვესტიციო მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, მომდევნო თარიღებიდან უგვიანესით: (ა) საინვესტიციო მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს თავდაპირველი აღიარება; (ბ) მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს გარდაქმნა საინვესტიციო საწარმოდ; და (გ) საინვესტიციო მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს გარდაქმნა მშობელ კომპანიადა. ამ ცვლილებებს გავლენა არ აქვს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 1-ის ცვლილება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ – მოკლევადიანი გამონაკლისების გაუქმება მათთვის, ვინც ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს პირველად იყენებს

ფასს(IFRS) 1-ის ე3-ე7 პარაგრაფებში განხილული მოკლევადიანი გამონაკლისები გაუქმდა, რადგან მათ უკვე შეასრულეს თავისი ფუნქცია. ამ ცვლილებებს გავლენა არ აქვს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ჯგუფი ამ სტანდარტების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებითი შენიშვნებში (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 16 – იჯარა

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს (იჯარა), ფასიკ (IFRIC) 4-ს (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), იმკ (SIC) 15-ს (საოპერაციო იჯარა – სტიმულირება) და იმკ (SIC) 27-ს (გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას). ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის – „დაბალი ღირებულებები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებული არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას. მეიჯარის აღრიცხვა ფასს (IFRS) 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს (IAS) 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან.

მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს (IAS) 17-ის მიხედვით და გამოიწვევს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს. ფასს (IFRS) 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს (IAS) 17-ის თანახმად ხდებოდა.

ფასს (IFRS) 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს (IFRS) 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

ჯგუფი გეგმავს ფასს (IFRS) 16-ის მიღებას მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის საფუძველზე. ჯგუფი სტანდარტს გამოიყენებს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც წინასწარ განისაზღვრება იჯარებად ბასს (IAS) 17-ის გამოყენებით. შესაბამისად, ჯგუფი სტანდარტს გამოიყენებს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც წინასწარ არ განისაზღვრება იჯარად ბასს (IAS) 17-ის ფარგლებში.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ჯგუფი ამ სტანდარტით შემოთავაზებულ გამონაკლისებს გამოიყენებს საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომლისთვისაც იჯარის ვადა სრულდება თავდაპირველი გამოყენებიდან 12 თვის განმავლობაში, ასევე საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომლისთვისაც საბაზისო აქტის დაბალი ღირებულება აქვს.

საანგარიშგებო თარიღში ჯგუფი ფასს (IFRS) 16-ის გავლენის ანალიზს ატარებს, რომელიც მოსალოდნელია, რომ იმოქმედებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 1 იანვრით დაწყებული პერიოდისთვის, რაც მოიცავს გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების ზრდას, საიჯარო ვალდებულებების ზრდას და გაუნაწილებელი მოგების კლებას.

ყოველწლიური გაუმჯობესებები 2015-2017 წ.წ. ციკლი (გამოშვებული 2017 წლის დეკემბერში)

ქვემოთ მოცემულია სხვა ცვლილებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა, და რომლებიც ჯგუფზე არ ვრცელდება:

- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“;
- ▶ ფასიკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია „მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა“
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 9-ში: საავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით;
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 10-სა და ბასს (IAS) 28-ში: „აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 19-ში: გეგმის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 28-ში: გრძელვადიანი ინტერესები მეკავშირე საწარმოებში და ერთობლივ საწარმოებში;
- ▶ ფასს (IFRS) 3 „საწარმოთა გაერთიანება“;
- ▶ ფასს (IFRS) 11 „ერთობლივი საქმიანობა“;
- ▶ ბასს (IAS) 12 „მოგებიდან გადასახადები“;
- ▶ ბასს (IAS) 23 „ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები“.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო, შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

მოსაზრებები

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის განსჯა, რომელიც ყველაზე მეტად მოქმედებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები – ჯგუფი, როგორც მეიჯარე

ჯგუფს კიდევ ერთი საიჯარო შეთანხმება აქვს დადებული შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალთან“ მე-4, მე-5, მე-6 ნავმისადგომების, საბორნე ტერმინალის, გარკვეული მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობის, ასევე 13.6 ჰექტარის მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემაზე. საიჯარო ხელშეკრულება 2007 წლის აპრილში გაფორმდა 48 წლიანი ვადით, რომელიც 2055 წლის 30 ივნისს იწურება. ჯგუფმა ამ შეთანხმებების პირობების შეფასების შედეგად დაადგინა, რომ მას მოიჯარისთვის გადაცემული აქვს ამ ქონების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი, გარდა მიწის ნაკვეთისა. შესაბამისად, ჯგუფმა საიჯარო გადასახდელები გადაანაწილა ფინანსური და საოპერაციო იჯარების ელემენტებს შორის, საიჯარო ეფექტის კლასიფიკაციასთან დაკავშირებული მსჯელობების სამართლიანი ღირებულების პროპორციულად და მათ შესაძლოა არსებითი გავლენა ჰქონდეს გაცხადებულ ციფრებზე.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო თარიღისთვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა, აღწერილია ქვემოთ. ჯგუფმა თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზრის პირობებში ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების გაუფასურება

გაუფასურების მაჩვენებლების არარსებობის გამო, ჯგუფმა მისი ძირითადი საშუალებები აღდგენითი ღირებულებით შეაფასა 2018 წლის 30 აპრილის მდგომარეობით. ამ აქტივების აღდგენითი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების გამოყენების ღირებულება განისაზღვრა, როგორც ბიზნესის ღირებულება, რომელიც დაკორექტირებულია წმინდა საბრუნავი კაპიტალის და არასპეციალიზებული ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების შესაბამისად.

ფულადი ნაკადების პროგნოზი ემყარება ჯგუფის და მშობელი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019-2023 წლების პერიოდისთვის დამტკიცებულ ფინანსურ ბიუჯეტებს, ასევე მოსალოდნელ პროგნოზებს 2031 წლამდე და საჯაროდ ხელმისაწვდომ მაკროეკონომიკურ ინფორმაციას.

აქტივები დაჯგუფდა ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ორ ერთეულად – ბათუმის საზღვაო ნავსადგური და ბათუმის ნავთობტერმინალი.

გამოყენების ღირებულების დასაანგარიშებლად შემდეგი ძირითადი დაშვებები გამოვიყენეთ:

	ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები	
	ბათუმის ნავთობტერმინალი	ბათუმის საზღვაო ნავსადგური
დისკონტირების განაკვეთი	12.6%	13.3%
გრძელვადიანი ზრდის განაკვეთი	1.9%	1.9%

გამოყენების ღირებულების განსაზღვრის შედეგები ეფუძნება გაწეული მომსახურებების მოსალოდნელ მოცულობებზე, გაწეული მომსახურებების ტარიფების დონეს, ნავთობპროდუქტების დამატებითი მოცულობების გადატვირთვის დაწყებას და კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯების ოდენობას.

ანალიზის საფუძველზე, ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებამ და მიწის გამოყენების უფლებამ მათ ანაზღაურებად ღირებულებას გადააჭარბა. ჯგუფმა ძირითადი საშუალებების გაუფასურება აღიარა 21,299,711 აშშ დოლარის ოდენობით, აქედან 7,214,483 აშშ დოლარი მოგებაში და ზარალში, ხოლო 14,085,228 აშშ დოლარი აქტივის გადაფასების რეზერვში აღიარა.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ბათუმის ნავთობტერმინალის გამოყენების ღირებულების დაანგარიშება განსაკუთრებით მგრძნობიარეა იმ დაშვებების მიმართ, რომლებიც უკავშირდება ყაზახეთიდან ნედლი ნავთობის დამატებითი მოცულობის გადატვირთვა, რომელიც დაიწყება 2023 წლიდან. შესაბამისად, ცვლილება ამ ნავთობპროდუქტების გადატვირთვაში 2023-დან 2025 წლამდე და მოცულობის 5%-იანი კლება 2023-დან 2031 წლამდე პერიოდში შეამცირებდა ანაზღაურებად ღირებულებას 28 მილიონი აშშ დოლარით და 10 მილიონი აშშ დოლარით (შესაბამისი თანმიმდევრობით). დისკონტირების განაკვეთის 0,5 %-ით გაზრდა გამოიწვევდა ანაზღაურებადი ღირებულების შემცირებას 11 მილიონი აშშ დოლარით ბათუმის ნავთობტერმინალისთვის და 0,4 მილიონი აშშ დოლარით – ბათუმის საზღვაო ნავსადგურისთვის.

ხელმძღვანელობამ ჩაატარა ანალიზი მაჩვენებლისა, რომ აქტივები შესაძლოა კიდევ გაუფასურდეს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მან ვერ მოახდინა გარე ან შიდა ფაქტორების გამოვლენა, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ ძირითადი საშუალებების გაუფასურება ან 2018 წლის 30 აპრილს ჩატარებული გაუფასურების ტესტში გამოყენებული შეფასებებისა და დაშვებების მნიშვნელოვანი ცვლილება.

უიმედო დებიტორული დავალიანების რეზერვი

ჯგუფმა აღიარა რეზერვები სავაჭრო დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და გამოიყენა სტანდარტის გამარტივებული მიდგომა.

ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაიანგარიშა ამ ფინანსური ინსტრუმენტების ვადის გათვალისწინებით. ჯგუფმა გამოიყენა მისი საკრედიტო ზარალის გამოცდილების გათვალისწინებით მომზადებული ანარიცხის მოდელი, რომელიც მოვალეებთან დაკავშირებით მომავალზე ორიენტირებულ ფაქტორებს და ეკონომიკურ გარემოს მოერგო.

საკრედიტო დაწესებულებებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო დეპოზიტები), ჯგუფმა განსაზღვრა, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითი იყო.

ამგვარად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეფასებული არაუზრუნველყოფილი თანხების რეზერვი 8,036,024 აშშ დოლარის (2017 წ.: 6,820,952 აშშ დოლარი) ოდენობით სავალო ფინანსური აქტივის გაუფასურებით გამოწვეული შესაძლო ზარალის საუკეთესო შეფასებაა (მე-14 შენიშვნა).

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

პოტენციური საგადასახადო ვალდებულებების შეფასება

რთული საგადასახადო რეგულაციების ინტერპრეტაციასთან მიმართებაში გაურკვევლობები არსებობს. ჯგუფი, გონივრული შეფასებების საფუძველზე, ქმნის გარკვეულ ანარიცხებს საგადასახადო ორგანოების მხრიდან შემოწმების შესაძლო შედეგებისთვის. ანარიცხების დონეს რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს, კერძოდ წინა საგადასახადო შემოწმებებიდან მიღებული გამოცდილება და დასაბეგრი საწარმოსა და შესაბამისი საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო კოდექსის განსხვავებული ინტერპრეტაცია. ინტერპრეტაციის ამგვარი განსხვავებები შესაძლოა წარმოიშვას მრავალ საკითხთან დაკავშირებით, ქვეყანაში უპირატესად არსებული ვითარებებიდან გამომდინარე. 22.7 შენიშვნაში განხილულია ბოლო საგადასახადო შემოწმების შედეგები და სხვა საგადასახადო პირობითი ვალდებულებები,

4. ფუნქციონირებადი საწარმო

2018 წლის განმავლობაში ჯგუფმა მოახდინა დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადების გენერირება, თუმცა ბათუმის ნავთობტერმინალთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები ნეგატიური იყო უმეტესად წინა პერიოდებთან შედარებით ნავთობპროდუქტების გადატვირთვის უფრო დაბალი რაოდენობის გამო. ბათუმის ნავთობტერმინალთან დაკავშირებით მისი ოპერაციების და კაპიტალური დანახარჯების საჭიროებების მხარდასაჭერად, 2019 წლის 12 თებერვალს ჯგუფმა მისი მშობელი კომპანიისგან სესხად აიღო 1,5 მილიონი აშშ დოლარი. ჯგუფი მოელის მშობელი კომპანიისგან აღებული სესხის გაზრდას 2019 წლის განმავლობაში, ამგვარი საჭიროების არსებობის შემთხვევაში. 2019 წლის 5 თებერვალს ხელმძღვანელობამ მშობელი კომპანიისგან მიიღო მხარდაჭერის წერილი, რომელშიც, მშობელი კომპანია ადასტურებს თავის განზრახვას მხარი დაუჭიროს ბათუმის ნავთობტერმინალის ოპერაციებს, თუ ამგვარი საჭიროება წარმოიშვება ახლო მომავალში.

ამასთან, ჯგუფს აქვს წმინდა მიმდინარე ვალდებულებები 85,025,254 აშშ დოლარის (2017 წ.: 85,103,903 აშშ დოლარი) ოდენობით. მიმდინარე ვალდებულებების ძირითადი კომპონენტია საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ არსებული სასესხო და სხვა დავალიანება. საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიების მიმართ ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი არასაოპერაციო ხასიათისაა და წარმოშობილია 2009 წელს ჯგუფის რეორგანიზაციის პროცესში. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მიმდინარე პოზიცია მესამე მხარეების მიმართ დადებითი იყო და შეადგენდა 2,476,856 აშშ დოლარს (2017 წ.: 3,767,103 აშშ დოლარი).

ხელმძღვანელობამ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან მიიღო 2019 წლის 4 თებერვლით დათარიღებული წერილები, რომლებითაც ეს კომპანიები ადასტურებენ, რომ არ მოითხოვენ ამ თანხების დაფარვას, თუ ეს ჯგუფს ზიანს მიაყენებს. ამგვარი ვალდებულებების მთლიანი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის 87,502,110 აშშ დოლარს შეადგენდა (2017 წ.: 89,116,959 აშშ დოლარი).

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ ჯგუფი მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. მომზადების საფუძველი ახდენს დაშვებას, რომ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო არ მოითხოვს მიმდინარე ვალდებულებების გადახდას, მინიმუმ, 2020 წლის 28 თებერვლამდე, თუ ეს ჯგუფს ზიანს მიაყენებს.

5. შემოსავალი

	2018	2017
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
შემოსავალი ნავთობპროდუქტების გადატვირთვიდან	10,159,714	15,527,992
სანავსადგურო მოსაკრებელი და მომსახურების ღირებულება (ა)	9,197,676	9,104,339
მშრალი ტვირთების ტერმინალი (ბ)	6,607,970	5,069,662
საიჯარო შემოსავალი (22.1 შენიშვნა)	981,628	1,186,416
სხვა შემოსავალი	195,668	154,568
	27,142,656	31,042,977

- (a) სანავსადგურო მოსაკრებელი და მომსახურების ღირებულება წარმოადგენს შემოსავალს გემებისთვის გაწეული მომსახურებიდან. ისინი მოიცავს შემდეგს: ნავსადგურში შემოსვლის მოსაკრებელი, ნავმისადგომის მოსაკრებელი, სარეიდო სადგომის მოსაკრებელი, ბუქსირით მომსახურების, სანიტარული მომსახურების, წყლით მომარაგების და სხვა მომსახურებების ღირებულება.
- (b) ტერმინალი განკუთვნილია სამოცი ათას ტონამდე წონის ტვირთამწეობის გემებიდან მშრალი ტვირთის გადმოტვირთვისთვის. ტერმინალი სპეციალიზებულია ნაყარი და შერეული ტვირთების დამუშავებაზე. დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები ხორციელდება პორტალური ამწეების მეშვეობით.

6. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2018	2017
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
თანამშრომელთა სარგებელი	9,420,483	9,716,220
ცვეთა და ამორტიზაცია	7,529,157	8,572,162
მასალის პირდაპირი დანახარჯი	3,014,971	5,606,778
ქონებისა და მიწის გადასახადი	1,226,892	1,370,070
სახანძრო უსაფრთხოება და დაცვის სისტემა	1,000,498	1,180,283
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	588,937	1,212,670
იჯარის ხარჯი (22.2 შენიშვნა)	452,946	268,757
ელექტროენერგია	441,416	631,215
სხვა ხარჯები	1,212,195	861,128
	24,887,495	29,419,283

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
თანამშრომელთა სარგებელი	2,857,796	4,317,137
საკრედიტო ზარალის ანარიცხი (მე-14 შენიშვნა)	1,307,667	3,303,933
პროფესიული მომსახურება	476,210	336,593
იჯარის ხარჯი (22.2 შენიშვნა)	236,666	327,760
მგზავრობის ხარჯი	135,611	123,987
ცვეთა და ამორტიზაცია	100,023	130,758
ადმინისტრაციული შენობების ტექნიკურ-სამეურნეო მომსახურება	77,533	45,798
ანარიცხები ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსებისთვის (22.6 შენიშვნა)	–	1,801,409
ავანსების ჩამოწერა	–	127,338
სხვა ხარჯები	444,521	637,708
	5,636,027	11,152,421

8. ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები

	2018	2017
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		
საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებზე (მე-16 შენიშვნა)	119,049	38,465
საპროცენტო შემოსავალ ფინანსურ იჯარაზე (22.3 შენიშვნა)	34,830	37,090
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული სხვა შემოსავალი	26,024	–
	179,903	75,555
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		
სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების საპროცენტო ხარჯი (მე-18 შენიშვნა)	(1,990,555)	(2,098,410)
	(1,990,555)	(2,098,410)

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯები

	2018	2017
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		
შემოსავალი მაზუთის გაყიდვიდან	362,519	3,467,847
შემოსავალი დიზელის საწვავის გაყიდვიდან	–	2,371,329
გადახდილი მოგების გადასახადის ანაზღაურება (ა)	123,325	129,196
სხვა	277,425	161,842
	763,269	6,130,214
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		
გადახდილი ჯარიმები	679,212	–
გაყიდული მაზუთის თვითღირებულება	362,750	3,247,906
ქველმოქმედებაზე გაწეული ხარჯები	138,928	208,108
ძირითადი საშუალებების ჩამოწერასთან დაკავშირებული ზარალი	86,471	144,161
გაყიდული დიზელის საწვავის თვითღირებულება	–	2,404,621
სხვა	396,583	199,373
	1,663,944	6,204,169

(ა) გაწეული დანახარჯები უკავშირდება ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალზე გაცემული ფინანსური იჯარის საფუძველზე იჯარით აღებულ ქონებას (22.3 შენიშვნა) ეს საგადასახადო დანახარჯები მთლიანად ანაზღაურდება მოიჯარის მიერ.

10. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში შევიდა ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან და გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა გამოითვლება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება 2017 წლიდან არ იბეგრება მოგების გადასახადით. თუმცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 103-ე ნაწილის თანახმად, 2008-2016 წლების პერიოდების მოგების განაწილება რეზიდენტ კომპანიაზე, რომელიც 2017 წლის 1 იანვარისთვის გაუნაწილებელია, ასევე ითვლება მოგების განაწილებად და, შესაბამისად, იბეგრება გადასახადით. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. 2017 წელს ჯგუფმა მოგების გადასახადი 136,768 აშშ დოლარის ოდენობით ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მიერ ბათუმის ნავთობტერმინალზე განაწილებულ დივიდენდებზე 2016 წელს დასრულებული პერიოდისთვის. 2018 წლის განმავლობაში ბათუმის ნავთობტერმინალზე დივიდენდების განაწილება მოხდა 2017 წელს დაგროვილი მოგებიდან და, შესაბამისად, სადივიდენტო გადასახადი არ აღრიცხულა.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

11. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები და ნაგებობები	ტრანსპორტი	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
გადაფასებული ღირებულებით 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	41,625,034	72,470,691	29,763,492	10,943,600	844,357	8,197,616	163,844,790
შესყიდვები	–	–	–	–	–	3,328,903	3,328,903
დაუმთავრებელი მშენებლობიდან გადატანა	–	6,052,377	2,475,712	567,000	175,694	(9,270,783)	–
გასვლები	–	(36,586)	(37,232)	(71,000)	(54,881)	(3,225)	(202,924)
საკურსო სხვაობები	–	184,309	249,394	101,501	4,018	287,515	826,737
გადაფასებული ღირებულებით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	41,625,034	78,670,791	32,451,366	11,541,101	969,188	2,540,026	167,797,506
შესყიდვები	–	–	–	–	–	1,349,433	1,349,433
გადატანა დაუმთავრებელი მშენებლობიდან	–	281,734	472,668	681,102	34,161	(1,469,665)	–
გასვლები	–	–	(64,126)	(101,141)	(3,821)	(2,473)	(171,561)
გაუფასურება	–	(14,096,215)	(1,844,999)	(5,197,368)	(161,129)	–	(21,299,711)
საკურსო სხვაობები	–	(399,774)	(110,398)	(249,314)	(1,712)	(38,060)	(799,258)
გადაფასებული ღირებულებით 2018 წლის 31 დეკემბრის	41,625,034	64,456,536	30,904,511	6,674,380	836,687	2,379,261	146,876,409
დაგროვილი ცვეთა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	828,520	622,683	110,367	39,204	–	1,600,774
ცვეთის დანარიცხი	–	4,615,533	2,730,341	1,063,199	153,716	–	8,562,789
გასვლები	–	(610)	(11,167)	(4,000)	(3,311)	–	(19,088)
საკურსო სხვაობები	–	(16,888)	(33,350)	(11,372)	(388)	–	(61,998)
დაგროვილი ცვეთა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	5,426,555	3,308,507	1,158,194	189,221	–	10,082,477
ცვეთის დანარიცხი	–	3,716,197	2,312,320	1,090,330	510,333	–	7,629,180
გასვლები	–	–	(83,462)	(384)	(1,244)	–	(85,090)
საკურსო სხვაობები	–	(53,274)	(53,199)	(131,718)	(1,271)	–	(239,462)
2018 წლის 31 დეკემბრისთვის დარიცხული ცვეთა	–	9,089,478	5,484,166	2,116,422	697,039	–	17,387,105
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი, 2017 წ.	41,625,034	73,244,236	29,142,859	10,382,907	779,967	2,540,026	157,715,029
31 დეკემბერი, 2018 წ.	41,625,034	54,989,607	26,697,934	3,271,236	526,232	2,379,261	129,489,304

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ძირითადი საშუალებების ნაწილი დაყადაღებული იყო შემოსავლების სამსახურის მიერ, ჯგუფთან მიმდინარე საგადასახადო დავის შედეგად (22.7 შენიშვნა). ამასთან, ჯგუფის სხვადასხვა სასამართლო დავისთვის უზრუნველყოფის სახით დაგირავებული ძირითადი საშუალებების ნაწილი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის 5,854,011 აშშ დოლარს გაუტოლდა (2017 წ.: 50,366,848 აშშ დოლარი) (22.6 შენიშვნა).

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

12. არამატერიალური აქტივები

	პროგრამ- ული უზრუნ- ველყოფა	ლიცენზი- ები	უზუფრუქ- ტის უფლება მიწაზე	მიწით სარგებლობ- ის უფლება (ა)	სულ
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
თვითღირებულება					
- ▶ სახელმწიფოებო გარიგება/გარიგებები ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან;
- ▶ სხვა სახელმწიფოებო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ▶ კომპანიის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები;

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.2 კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

კომპანია ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც იგი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, შვილობილ საწარმოზე კომპანიის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

შვილობილი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, საოპერაციო საქმიანობის შედეგები და ფულადი ნაკადები მზადდება ანგარიშგების იმავე პერიოდისთვის, რომლისთვისაც მზადდება კომპანიის ანგარიშგება, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. ჯგუფის წევრებს შორის შემდგომ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება.

თუ კომპანია დაკარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი წყვეტს შესაბამისი აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას, ხოლო შედეგად მიღებული შემოსულობას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ბათუმის საზღვაო ნავსადგურს აკონტროლებს მართვის უფლების ექსკლუზიური ხელშეკრულებით, რომელიც 2006 წლის 22 ივლისს გაფორმდა (შემდგომში „მართვის ხელშეკრულება“). მართვის ხელშეკრულება კომპანიას სრულ უფლებამოსილებას ანიჭებს, მართოს და უხელმძღვანელოს ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ფუნქციონირებას 2055 წლამდე და ამ პერიოდის განმავლობაში აქვს ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მოგების მიღების უფლება. კომპანიას შეზღუდული აქვს უძრავი ქონების გასხვისების და/ან დაგირავების უფლება, რომლის წმინდა საბალანსო ღირებულება აღემატება 500,000 აშშ დოლარს, ასევე ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ლიკვიდაციის, შერწყმის, გაყოფის და/ან რეორგანიზაციის უფლება საქართველოს სახელმწიფოსგან წერილობითი თანხმობის გარეშე; ის ვალდებულია შეინარჩუნოს ნავსადგურის საქმიანობების გარკვეული დონე (22.5 შენიშვნა);

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

(ა) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ამერიკის შეერთებული შტატების დოლარში (შემდგომში „აშშ დოლარი“), რომელიც ასევე არის ჯგუფის სამუშაო ვალუტა, თუ სხვა ვალუტა არ არის მითითებული. ბათუმის საზღვაო ნავსადგურის სამუშაო ვალუტა ქართული ლარია (შემდგომში „ლარი“). აშშ დოლარში წარმოდგენილი ყოველგვარი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ათასამდე.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან ჯგუფის ეკონომიკური ერთეულების მიერ აღირიცხება მათ შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით. სხვაობები აღიარებულია სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

კონსოლიდაციისას საზღვარგარეთ წარმოებული ოპერაციების აქტივები და ვალდებულებები აშშ დოლარში გადაიყვანება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსით, ხოლო მათი მოგება-ზარალის ანგარიშგება გადაიყვანება იმ სავალუტო კურსებით, რომლებიც მოქმედებს შესაბამისი ოპერაციების დღეს. კონსოლიდაციისთვის აუცილებელი კონვერტაციის შედეგად მიღებული საკურსო სხვაობების აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში.

(ბ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე- და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე- და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია გაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

(გ) შემოსავლის აღიარება

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა კლიენტს ანაზღაურების შესაბამისი ოდენობით, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის და მომსახურების სანაცვლოდ.

ჯგუფი შემოსავლებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს სპეციალურ კრიტერიუმებს ადარებს, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი პრინციპალად თუ პრინციპალის აგენტ მხარედ გამოდის.

ჯგუფმა დაასკვნა, რომ ის პრინციპალის სახით მოქმედებს შემოსავლების მომტან გარიგებებში (რადგან ის, ჩვეულებრივ, აკონტროლებს საქონელს და მომსახურებას მათი კლიენტისთვის გადაცემამდე).

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფი ზოგადად აღიარებს შემდეგი ტიპის შემოსავლებს:

გადატვირთვის მომსახურება

შემოსავალი მშრალი ტვირთის გადატვირთვის და საპორტო მომსახურებებიდან აღიარდება ანგარიშგების პერიოდში ტრანსპორტირებული მშრალი ტვირთის ფაქტიური მოცულობის და გაწეული სანავსადგურო მომსახურების საფუძველზე.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

საიჯარო შემოსავალი

საოპერაციო იჯარიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აისახება შემოსავლის ნაწილში.

საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით (EIR), რომელიც ზუსტად ახორციელებს მომავალში მოსალოდნელი შემომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

სახელშეკრულებო ნაშთები

სახელშეკრულებო აქტივები

სახელშეკრულებო აქტივი წარმოადგენს უფლებას კლიენტისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურებების სანაცვლოდ გადახდილ საფასურზე. თუ ჯგუფი კლიენტს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს კლიენტის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელშეკრულებო აქტივის აღიარება ხდება პირობითად მიღებული ანაზღაურებისთვის. ჯგუფი არ ფლობს სახელშეკრულებო აქტივებს.

მოთხოვნა წარმოადგენს ჯგუფის უფლებას ანაზღაურების თანხაზე, რომელიც არ არის პირობითი (ანუ მხოლოდ დროის გასვლაა აუცილებელი ანაზღაურების გადახდის თარიღის დადგომამდე).

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის ვალდებულებას, რომლისთვისაც ჯგუფს კლიენტისგან მიღებული აქვს ანაზღაურება (ან გადახდა მომავალში მოხდება). თუ კლიენტი გადახდას განახორციელებს ჯგუფის მიერ მისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემამდე, სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება მოხდება ღირებულების გადახდისას ან მისი გადახდის ვადის დადგომისას (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი). სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება შემოსავლად მაშინ, როდესაც ჯგუფი გასწევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) გადასახადები

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება (მე-10 შენიშვნა). მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. ამგვარი მოგება დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებით ღირებულების გადასახადს.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აისახება წინასწარ გადახდილი გადასახადების ნაწილში, მოგების გადასახადის გარდა, ან როგორც საგადასახადო დავალიანება.

(ე) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გადაფასების თარიღის შემდეგ აღიარებული გაუფასურების ზარალი. შეფასება ხდება საკმარისი სიხშირით, რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება აუცილებელი, ჯგუფი ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო გამოყენების ვადით და შესაბამისად აღრიცხავს ცვეთას. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

გადაფასების ყოველგვარი ნამეტი მიეკუთვნება აქტივების გადაფასების რეზერვს და შედის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების კაპიტალის ნაწილში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი შეაბრუნებს ამავე აქტივის გადაფასების შედეგად შემცირებულ ღირებულებას, რომელიც მანამდე ხარჯად იყო აღიარებული. ასეთ შემთხვევაში ღირებულების გაზრდის აღიარება ხდება გადაფასების შედეგად მიღებული შემოსულობის სახით. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება ხარჯის სახით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი გაქვითავს ამავე აქტივზე არსებულ ნამეტს, რაც აღიარებულია აქტივის გადაფასების რეზერვში.

აქტივების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივების გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივების თავდაპირველი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობით.

გარდა ამისა, გადაფასების თარიღისთვის დაგროვილი ცვეთა ჩამოიწერება აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან და წმინდა ღირებულების გადაანგარიშება ხდება აქტივის გადაფასებული ღირებულების მისაღებად. გასხვებისას, გაყიდულ, იჯარით გაცემულ ან ლიკვიდირებულ კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	1-65 წელი
ტრანსპორტი	1-25 წელი
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	1-50 წელი
სხვა უძრავი აქტივები	1-50 წელი

აქტივების ცვეთა იწყება მათი შეძენის მომდევნო თვიდან, ან, შიდა რესურსებით აშენებული აქტივების შემთხვევაში, აქტივის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღების წლიდან. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც სხვაობა გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შედის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები ყოველწლიურად გადაისინჯება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისად კორექტირდება.

(ვ) იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა იჯარას, ხდება იჯარის ვადის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება ფასდება იმისდა მიხედვით, მისი შესრულება დამოკიდებულია თუ არა გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე ან შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს უფლება მკაფიოდ არ არის განსაზღვრული შეთანხმებაში.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად იჯარის საწყისი თარიღით. იჯარა, რომელიც ჯგუფს გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური იჯარა კაპიტალიზდება იჯარის დაწყებისთანავე იჯარის საწყისი თარიღისთვის საიჯარო ქონების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახადის დღევანდელ ღირებულებას შორის უმცირესით. საიჯარო გადასახადები ნაწილდება ფინანსურ დანახარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის იმგვარად, რომ წარმოიქმნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური ხარჯების აღიარება ხდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

იჯარით გადაცემული აქტივი ცვდება მისი სასარგებლო გამოყენების მთლიანი ვადის განმავლობაში. ამის მიუხედავად, თუ ნაკლებ სავარაუდოა ჯგუფის მიერ საიჯარო ვადის ბოლოსთვის საკუთრების შეძენა, აქტივი ცვდება სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადასა და საიჯარო ვადას შორის უმცირესი ვადის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

ჯგუფი, როგორც მეიჯარე

იჯარა, რომლის დროსაც ჯგუფი არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება საიჯარო ვადაზე საიჯარო შემოსავლის ანალოგიურად. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

იჯარას, რომლის ფარგლებშიც ჯგუფი გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, ფინანსური იჯარა ეწოდება. მიღებული იჯარა გადანაწილდება ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალსა და იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების შემცირებას შორის, რათა მიღწეული იქნეს უცვლელი საპროცენტო განაკვეთი მოთხოვნების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვის ჯგუფისეულ ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფი პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომელიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც ჯგუფმა პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება გარიგების ფასით, რომელიც ფასს (IFRS) 15-ით (ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან) განისაზღვრება.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე.

ჯგუფის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ორგანიზაცია თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნეს-მოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფი იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

ჯგუფის ფინანსური აქტივები მოიცავს თანხებს საკრედიტო ინსტიტუტებში და სავაჭრო დებიტორული დავალიანებებს.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები);
- ▶ სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- ▶ მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

(i) ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ჯგუფისთვის ყველაზე აქტუალურია. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ჯგუფის ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო დებიტორული დავალიანებებს და საკრედიტო ინსტიტუტებში არსებულ თანხებს (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო დეპოზიტები).

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა, ან
- ▶ ჯგუფი დათმობს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან იტოვებს ამგვარ უფლებას, მაგრამ აიღებს მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულებას; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებას ან გააფორმა ხელშეკრულება ამაზე, და არც გადაუცია და არც დაუტოვებია აქტივთან დაკავშირებული ძირითადი რისკები და სარგებელი, და არც კონტროლი გადაუცია აქტივზე, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება მონაწილეობის შენარჩუნების პირობით.

ასეთ შემთხვევაში ჯგუფი მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ჯგუფის მიერ შენარჩუნებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელიც იძენს ერთგვარი გარანტიის ფორმას გადაცემულ აქტივზე, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- ▶ განმარტებითი შენიშვნები მნიშვნელოვანი დაშვებების შესახებ (მე-3 შენიშვნა);
- ▶ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (მე-14 შენიშვნა).

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის ჯგუფი. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება მსგავსი ინსტრუმენტის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მსგავს საკრედიტო რეიტინგთან მიახლოების გზით.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფმა შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო დეპოზიტები), ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდეგ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, დებიტორული დავალიანება ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა, და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, ამას ემატება მათთვის პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება მიეკუთვნება სესხების კატეგორიას და მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სესხებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველი აღიარება შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დარიცხული ამორტიზაციის პროცესში.

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(iv) ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით აფასებს თითოეული საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე სახარბიელო ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ჯგუფისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან მისი მიყიდვით ბაზრის სხვა მონაწილისათვის, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებშიც მაქსიმალურად გამოიყენება ემპირიული მონაცემები და მინიმალურად – არაემპირიული მონაცემები.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების აქტიურ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს ჯგუფი განსაზღვრავს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, ჯგუფმა განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

(თ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მასალები, სათადარიგო ნაწილები და სხვა მოხმარების საგნები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ღირებულებით, რომელსაც ემატება ტრანსპორტირების და ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ხარჯებად ტარდება „პირველი შემოსული პირველი გადის“ (FIFO) მეთოდის გამოყენებით.

(ი) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ჯგუფი განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი და განისაზღვრება თითოეული აქტივისთვის ცალკე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და დაიყვანება მის აღდგენით ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო ოპერაციების გათვალისწინებით. ამ გამოთვლების დასაბუთება ხდება შეფასების კოეფიციენტებით ან სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი გაუფასურებას დეტალური ბიუჯეტების და ფინანსური პროგნოზების საფუძველზე გამოითვლის. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ 13-წლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ცამეტი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების ჩათვლით, აღიარებულია სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების ხარჯების კატეგორიებში, გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამისად, გარდა იმ ქონებისა, რომელიც მანამდე გადაფასდა და გადაფასება აისახა სხვა სრულ შემოსავალში. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების აღიარებაც სხვა სრულ შემოსავალში მოხდება ნებისმიერი მანამდე მომხდარი გადაფასების თანხამდე.

(კ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს მიეკუთვნება ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში და ბანკში. ნაღდი ფული ბანკში მოიცავს პროცენტთან მიმდინარე ანგარიშებს.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების მიზნებისთვის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთებისგან ბანკში და სალაროში.

(ლ) ანარიცხვები

ანარიცხვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მათ დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა. ანარიცხვებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

(მ) არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით აღირიცხება. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივების ღირებულება წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ჯგუფის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია, გარდა კვლევა-განვითარების კაპიტალიზებული ხარჯებისა, არ ხდება და ხარჯი აისახება მოგებაში ან ზარალში იმ წლისთვის, რომლის განმავლობაშიც ეს ხარჯი გაიწია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა განსაზღვრული ვადით ფასდება.

შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე.

ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

ჯგუფი არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

(5) ოპერაციები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან ყველა ოპერაცია ფასდება თვითღირებულებით, თუ სხვა რამეს არ ითვალისწინებს ფასს, მაგალითად ფასს (IFRS) 2 „წილობრივი გადახდა“ ან ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“. იმ შემთხვევაში, თუ გარიგებები არ შეიცავს საზღაურს, მაშინ მათი ღირებულება ნულით ფასდება.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ჯგუფმა პირველად გამოიყენა ფასს (IFRS) 9 და ფასს (IFRS) 15. ამ სააღრიცხვო სტანდარტების მიღებით გამოწვეული ცვლილებების ხასიათი და ეფექტი ქვემოთ არის აღწერილი.

რამდენიმე სხვა ცვლილება და ინტერპრეტაცია პირველად იქნა გამოყენებული 2018 წელს, თუმცა მათ არ ჰქონიათ გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

ფასს (IFRS) 15 – ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს (IFRS) 15 ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 11-ს (*სამშენებლო ხელშეკრულებები*), ბასს (IAS) 18-ს (*შემოსავალი*) და შესაბამისი ინტერპრეტაციები და შეზღუდული გამოწვევების სახით იყენებს მათ მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან ყველა ამონაგებთან მიმართებაში. ფასს (IFRS) 15 ადგენს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი შემოსავლის აღრიცხვის ხუთ-საფეხურიან მოდელს და მოითხოვს, რომ ამგვარი შემოსავლების აღიარება მოხდეს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

ეს სტანდარტი საწარმოებისგან მოითხოვს მსჯელობის გამოყენებას და ყველა შესაბამისი ფაქტის და ვითარების გათვალისწინებას მოდელის ყველა საფეხურზე მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სტანდარტი ასევე განსაზღვრავს ხელშეკრულების მიღებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების და ხელშეკრულების შესრულებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვას.

ჯგუფმა ახალი სტანდარტი მისი ძალაში შესვლის თარიღში მიიღო. ჯგუფმა ჩაატარა ფასს (IFRS) 15-ის მიღების გავლენის დეტალური ანალიზი, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სტანდარტის მიღებას ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე გავლენა არ ჰქონია.

a) მომსახურების გაწევა

ჯგუფი გადატვირთვის და საპორტო მომსახურებებიდან მიღებულ ამონაგებს გაწეული მომსახურებების ფაქტიურ მოცულობაზე დაყრდნობით აღიარებს. ფასს (IFRS) 15-ის გამოყენება მომსახურების ხელშეკრულებებთან მიმართებაში არ მოქმედებს ჯგუფის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგების შემოსავალზე.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 15-ის გამოყენებისას ჯგუფი ითვალისწინებს შემდეგს:

i) ცვალებადი ანაზღაურება

ფასს (IFRS) 15-ის მიხედვით, სავალდებულოა სავარაუდო ცვალებადი ანაზღაურების შეზღუდვა შემოსავლის გადაჭარბებით აღიარების თავიდან ასაცილებლად. ცვალებადი ანაზღაურება შესული არ არის მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, ფასდაკლებების, საკრედიტო გადახდების ფასდათმობების, შეღავათების, შედეგებზე დაფუძნებული ბონუსების ან სხვა მსგავსი ერთეულების არარსებობის გამო. შესაბამისად, სტანდარტის ხსენებულ განახლებას არ ექნება გავლენა ჯგუფის შემოსავლის აღიარებაზე.

ii) პრინციპალის და აგენტის საკითხები

ფასს (IFRS) 15 მოითხოვს იმის შეფასებას, ჯგუფი აკონტროლებს თუ არა კონკრეტულ საქონელს ან მომსახურებას, მის მომხმარებელზე/მომხმარებლის კლიენტზე გადაცემამდე. ჯგუფი განსაზღვრავს, რომ ის მოქმედებს პრინციპალის სახით ყველა ხელშეკრულებაში, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის აღიარება (რადგან ის აკონტროლებს დაპირებულ მომსახურებას მის მომხმარებლისთვის ან მომხმარებლის კლიენტისთვის გაწევამდე).

iii) მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები

მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები სახელშეკრულებო ვალდებულებებს წარმოადგენს. სახელშეკრულებო ვალდებულებები არის საქონლის ან მომსახურების მყიდველის წინაშე არსებული ვალდებულებები, ვისგანაც ჯგუფმა მიიღო შესაბამისი ანაზღაურება. თუ მყიდველი ანაზღაურებას მოახდენს ჯგუფის მიერ მისთვის პროდუქტის ან მომსახურების გადაცემამდე (გაწევამდე), სახელშეკრულებო ვალდებულება აღიარდება გადახდის განხორციელების მომენტში ან იმ დროს, როდესაც გადახდის ვალდებულება დადგება (რომელსაც ადრე ექნება ადგილი). სახელშეკრულებო ვალდებულებების შემოსავლად აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი შეასრულებს შესაბამის ვალდებულებებს.

ფასს (IFRS) 15-ის ფარგლებში, ჯგუფმა უნდა განსაზღვროს არსებობს თუ არა მას ხელშეკრულებებში მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტი.

ჯგუფი თავისი მომხმარებლებისგან მხოლოდ მოკლევადიან ავანსებს იღებს. ისინი აისახება სახელშეკრულებო ვალდებულებების ნაწილის სახით. ჯგუფმა განსაზღვრა, რომ პერიოდი ჯგუფის მიერ მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევიდან, მომსახურების ანაზღაურებამდე შედარებით მოკლეა. შესაბამისად, ჯგუფმა დაასკვნა, რომ ხსენებული ხელშეკრულებები არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

b) წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნები

ჯგუფმა შეაფასა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და მასში ინფორმაციის წარმოდგენის მოთხოვნები და დაასკვნა, რომ მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით საჭირო არ არის დამატებითი ინფორმაციის წარდგენა.

ფასს (IFRS) 9 – ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს (IFRS) 9 (ფინანსური ინსტრუმენტები) ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 39-ს (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება) 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული და ამ თარიღის შემდეგ ყოველწლიური პერიოდებისთვის. ეს სტანდარტი ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა.

ჯგუფმა ფასს (IFRS) 9 რეტროსპექტულად გამოიყენა, თავდაპირველად 2018 წლის 1 იანვარს. ჯგუფის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება არ მოახდინოს შედარებადი ინფორმაციის გადაანგარიშება 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული და შემდგომი პერიოდისთვის, რადგან:

- ▶ შედარებადი ინფორმაცია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ განხილულია ბასს (IAS) 39-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნების შესაბამისად (მე-14, მე-16 და მე-19 შენიშვნები);
- ▶ 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის ცვლილება კაპიტალში აღირიცხება ცვლილებების საბოლოო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. ამგვარი ცვლილების თანხა შეადგენს 52,290 აშშ დოლარს და ის სავაჭრო დებიტორული დავალიანებებს უკავშირდება.

a) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში, სასესხო ფინანსური ინსტრუმენტები შემდგომში ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. კლასიფიკაცია ორ კრიტერიუმს ეფუძნება: ჯგუფის მიერ ფინანსური აქტივების სამართავად გამოყენებული ბიზნეს მოდელი; და განსაზღვრება იმისა, ხომ არ წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტებისთვის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები 'ძირი თანხის და პროცენტის ერთპიროვნულ გადახდებს' დაუფარავ ძირ თანხაზე.

ჯგუფის ბიზნეს მოდელის შეფასება განხორციელდა სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღში – 2018 წლის 1 იანვარს და ის ეფუძნებოდა აქტივების თავდაპირველი აღიარების მდგომარეობით არსებულ ფაქტებს და ვითარებებს.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 9-ის კლასიფიცირების და შეფასების მოთხოვნებს არ ჰქონიათ გავლენა ჯგუფზე. ახალი მოთხოვნების საფუძველზე, ჯგუფი კვლავ ახდენს მისი ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით კლასიფიცირებას.

b) გაუფასურება

ფასს (IFRS) 9-ის მიღებამ შეცვალა ჯგუფის მიერ ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის აღრიცხვა, ბასს (IAS) 39-ის განცდილი ზარალის მიდგომის მომავალზე ორიენტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომით ჩანაცვლების გზით. ფასს (IFRS) 9 ჯგუფისგან მოითხოვს აღიაროს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში და ასევე სახელშეკრულებო აქტივებისთვის.

ფასს (IFRS) 9-ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოთხოვნების მიღებამ გამოიწვია ჯგუფის სასესხო ფინანსური აქტივების რეზერვის 52,290 აშშ დოლარით ზრდა 2018 წელს.

ფასიკ (IFRIC) ინტერპრეტაცია 22 „ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად“

ინტერპრეტაციის თანახმად, წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის არაერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, საწარმომ თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე უნდა განსაზღვროს ოპერაციის თარიღი. ვინაიდან ჯგუფის არსებული პრაქტიკა შეესაბამება ინტერპრეტაციას, ამ უკანასკნელის გამოყენებას გავლენა არ ჰქონია მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ბასს (IAS) 40-ის ცვლილება საინვესტიციო ქონების გადატანა

ცვლილებები განმარტავს, როდის უნდა გადაიტანოს საწარმომ ქონება, მათ შორის სამშენებლო ან მოწყობითი სამუშაოების პროცესში მყოფი ქონება, საინვესტიციო ქონებაში ან საინვესტიციო ქონებიდან. ცვლილებების თანახმად, დანიშნულების შეცვლა ხდება, როდესაც ქონება აკმაყოფილებს, ან აღარ აკმაყოფილებს, საინვესტიციო ქონების განმარტებას და არსებობს გამოყენებული ცვლილების განმარტება. მხოლოდ ხელმძღვანელობის მიერ ქონების ექსპლუატაციის განზრახვის შეცვლა არ წარმოადგენს ქონების დანიშნულების შეცვლისთვის საკმარის მტკიცებულებას. ამ ცვლილებებს გავლენა არ აქვს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 2-ის ცვლილება – აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების კლასიფიკაცია და შეფასება

ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ფასს 2-ში „*აქციებზე დაფუძნებული გადახდა*“, რომლებიც ეხება სამ ძირითად საკითხს: უფლების გადაცემის პირობების გავლენა ფულით განსაზღვრული წილობრივი გადახდის გარიგებებზე; ურთიერთგაქვითვის პირობის მქონე აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციის კლასიფიკაცია დაკავებული გადასახადის ვალდებულებებისთვის; და ბუღალტრული აღრიცხვა ისეთ შემთხვევებში, როდესაც აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციის პირობების შეცვლის შედეგად, იგი ფულით განსაზღვრულის კატეგორიიდან წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრულ კატეგორიაში გადადის. ცვლილების მიღებისას საწარმოებს მოეთხოვებათ ცვლილებების გამოყენება წინა პერიოდების გადანაგარიშების გარეშე. ამასთან რეტროსპექტულად გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ საწარმო მას გამოიყენებს სამივე ცვლილების შემთხვევაში და ასევე დაკმაყოფილდება სხვა კრიტერიუმებიც. ჯგუფი არ აწარმოებს აქციებზე დაფუძნებულ გადახდის ოპერაციებს და, შესაბამისად, მოცემულ ცვლილებას არსებითი გავლენა არ აქვს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს (IFRS) 4-ში – ფასს (IFRS) 9-ის (ფინანსური ინსტრუმენტები) გამოყენება ფასს (IFRS) 4-თან (სადაზღვევო ხელშეკრულებები) ერთად

ცვლილებები ეხება საკითხებს, რომლებიც წამოიჭრა ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ახალი სტანდარტის – ფასს (IFRS) 9-ის დანერგვის შედეგად, ფასს (IFRS) 17-ის (სადაზღვევო ხელშეკრულებები) დანერგვამდე, რომელიც ჩაანაცვლებს ფასს (IFRS) 4-ს. ეს ცვლილებები საწარმოებს სადაზღვევო ხელშეკრულებების გაფორმების ორ ვარიანტს სთავაზობს: დროებითი გამონაკლისი ფასს (IFRS) 9-ის გამოყენებიდან და „გადაფარვის“ მიდგომა. ისინი არ არიან აქტუალური ჯგუფისთვის.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ბასს (IAS) 28-ის ცვლილება „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ – განმარტება, რომ ინვესტიციის ობიექტების სამართლიანი ღირებულებით შეფასება მოგებაში ან ზარალში ასახვით თითოეული ინვესტიციის შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა მოხდეს

ცვლილებები განმარტავს, რომ საწარმოს, რომელიც არის სარისკო კაპიტალის ორგანიზაცია ან სხვა ნებადართული საწარმო, შეუძლია სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში შეაფასოს მისი ინვესტიცია მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში თითოეული ინვესტიციის შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას, მათი ინდივიდუალურად განხილვის საფუძველზე. თუ ჯგუფი თავად არ წარმოადგენს საინვესტიციო საწარმოს, მაგრამ ფლობს წილს მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში, რომელიც თავის მხრივ საინვესტიციო საწარმოა, მას აქვს უფლება, კაპიტალ-მეთოდის გამოყენებისას, შეინარჩუნოს ხსენებული მეკავშირე საინვესტიციო საწარმოს ან ერთობლივი საინვესტიციო საწარმოს მიერ მათ შვილობილ კომპანიებში ფლობილი წილის მიმართ გამოყენებული სამართლიანი ღირებულებით შეფასება. ეს არჩევანი კეთდება ინდივიდუალურად, თითოეული საინვესტიციო მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, მომდევნო თარიღებიდან უგვიანესით: (ა) საინვესტიციო მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს თავდაპირველი აღიარება; (ბ) მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს გარდაქმნა საინვესტიციო საწარმოდ; და (გ) საინვესტიციო მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს გარდაქმნა მშობელ კომპანიად. ამ ცვლილებებს გავლენა არ აქვს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 1-ის ცვლილება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ – მოკლევადიანი გამონაკლისების გაუქმება მათთვის, ვინც ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს პირველად იყენებს

ფასს(IFRS) 1-ის ე3-ე7 პარაგრაფებში განხილული მოკლევადიანი გამონაკლისები გაუქმდა, რადგან მათ უკვე შეასრულეს თავისი ფუნქცია. ამ ცვლილებებს გავლენა არ აქვს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ჯგუფი ამ სტანდარტების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 16 – იჯარა

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს (იჯარა), ფასიკ (IFRIC) 4-ს (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), იმკ (SIC) 15-ს (საოპერაციო იჯარა – სტიმულირება) და იმკ (SIC) 27-ს (გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას). ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის – „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებული არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას. მეიჯარის აღრიცხვა ფასს (IFRS) 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს (IAS) 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან.

მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს (IAS) 17-ის მიხედვით და გამოიწვევს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს. ფასს (IFRS) 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს (IAS) 17-ის თანახმად ხდებოდა.

ფასს (IFRS) 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს (IFRS) 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

ჯგუფი გეგმავს ფასს (IFRS) 16-ის მიღებას მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის საფუძველზე. ჯგუფი სტანდარტს გამოიყენებს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც წინასწარ განისაზღვრება იჯარებად ბასს (IAS) 17-ის გამოყენებით. შესაბამისად, ჯგუფი სტანდარტს გამოიყენებს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც წინასწარ არ განისაზღვრება იჯარად ბასს (IAS) 17-ის ფარგლებში.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ჯგუფი ამ სტანდარტით შემოთავაზებულ გამონაკლისებს გამოიყენებს საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომლისთვისაც იჯარის ვადა სრულდება თავდაპირველი გამოყენებიდან 12 თვის განმავლობაში, ასევე საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომლისთვისაც საბაზისო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს.

საანგარიშგებო თარიღში ჯგუფი ფასს (IFRS) 16-ის გავლენის ანალიზს ატარებს, რომელიც მოსალოდნელია, რომ იმოქმედებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 1 იანვრით დაწყებული პერიოდისთვის, რაც მოიცავს გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების ზრდას, საიჯარო ვალდებულებების ზრდას და გაუნაწილებელი მოგების კლებას.

ყოველწლიური გაუმჯობესებები 2015-2017 წ.წ. ციკლი (გამოშვებული 2017 წლის დეკემბერში)

ქვემოთ მოცემულია სხვა ცვლილებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა, და რომლებიც ჯგუფზე არ ვრცელდება:

- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“;
- ▶ ფასიკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია „მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა“
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 9-ში: საავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით;
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 10-სა და ბასს (IAS) 28-ში: „აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 19-ში: გემის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 28-ში: გრძელვადიანი ინტერესები მეკავშირე საწარმოებში და ერთობლივ საწარმოებში;
- ▶ ფასს (IFRS) 3 „საწარმოთა გაერთიანება“;
- ▶ ფასს (IFRS) 11 „ერთობლივი საქმიანობა“;
- ▶ ბასს (IAS) 12 „მოგებიდან გადასახადები“;
- ▶ ბასს (IAS) 23 „ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები“.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო, შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

მოსაზრებები

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის განსჯა, რომელიც ყველაზე მეტად მოქმედებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები – ჯგუფი, როგორც მემკვიდრე

ჯგუფს კიდევ ერთი საიჯარო შეთანხმება აქვს დადებული შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალთან“ მე-4, მე-5, მე-6 ნავმისადგომების, საბორნე ტერმინალის, გარკვეული მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობის, ასევე 13.6 ჰექტარის მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემაზე. საიჯარო ხელშეკრულება 2007 წლის აპრილში გაფორმდა 48 წლიანი ვადით, რომელიც 2055 წლის 30 ივნისს იწურება. ჯგუფმა ამ შეთანხმებების პირობების შეფასების შედეგად დაადგინა, რომ მას მოიჯარისთვის გადაცემული აქვს ამ ქონების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი, გარდა მიწის ნაკვეთისა. შესაბამისად, ჯგუფმა საიჯარო გადასახდელები გადაანაწილა ფინანსური და საოპერაციო იჯარების ელემენტებს შორის, საიჯარო ეფექტის კლასიფიკაციასთან დაკავშირებული მსჯელობების სამართლიანი ღირებულების პროპორციულად და მათ შესაძლოა არსებითი გავლენა ჰქონდეს გაცხადებულ ციფრებზე.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო თარიღისთვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა, აღწერილია ქვემოთ. ჯგუფმა თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზრის პირობებში ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების გაუფასურება

გაუფასურების მაჩვენებლების არარსებობის გამო, ჯგუფმა მისი ძირითადი საშუალებები აღდგენითი ღირებულებით შეაფასა 2018 წლის 30 აპრილის მდგომარეობით. ამ აქტივების აღდგენითი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების გამოყენების ღირებულება განისაზღვრა, როგორც ბიზნესის ღირებულება, რომელიც დაკორექტირებულია წმინდა საბრუნავი კაპიტალის და არასპეციალიზებული ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების შესაბამისად.

ფულადი ნაკადების პროგნოზი ემყარება ჯგუფის და მშობელი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019-2023 წლების პერიოდისთვის დამტკიცებულ ფინანსურ ბიუჯეტებს, ასევე მოსალოდნელ პროგნოზებს 2031 წლამდე და საჯაროდ ხელმისაწვდომ მაკროეკონომიკურ ინფორმაციას.

აქტივები დაჯგუფდა ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ორ ერთეულად – ბათუმის საზღვაო ნავსადგური და ბათუმის ნავთობტერმინალი.

გამოყენების ღირებულების დასაანგარიშებლად შემდეგი ძირითადი დაშვებები გამოვიყენეთ:

	ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები	
	ბათუმის ნავთობტერმინალი	ბათუმის საზღვაო ნავსადგური
დისკონტირების განაკვეთი	12.6%	13.3%
გრძელვადიანი ზრდის განაკვეთი	1.9%	1.9%

გამოყენების ღირებულების განსაზღვრის შედეგები ეფუძნება გაწეული მომსახურებების მოსალოდნელ მოცულობებზე, გაწეული მომსახურებების ტარიფების დონეს, ნავთობპროდუქტების დამატებითი მოცულობების გადატვირთვის დაწყებას და კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯების ოდენობას.

ანალიზის საფუძველზე, ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებამ და მიწის გამოყენების უფლებამ მათ ანაზღაურებად ღირებულებას გადააჭარბა. ჯგუფმა ძირითადი საშუალებების გაუფასურება აღიარა 21,299,711 აშშ დოლარის ოდენობით, აქედან 7,214,483 აშშ დოლარი მოგებაში და ზარალში, ხოლო 14,085,228 აშშ დოლარი აქტივის გადაფასების რეზერვში აღიარა.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ბათუმის ნავთობტერმინალის გამოყენების ღირებულების დაანგარიშება განსაკუთრებით მგრძნობიარეა იმ დაშვებების მიმართ, რომლებიც უკავშირდება ყაზახეთიდან ნედლი ნავთობის დამატებითი მოცულობის გადატვირთვა, რომელიც დაიწყება 2023 წლიდან. შესაბამისად, ცვლილება ამ ნავთობპროდუქტების გადატვირთვაში 2023-დან 2025 წლამდე და მოცულობის 5%-იანი კლება 2023-დან 2031 წლამდე პერიოდში შეამცირებდა ანაზღაურებად ღირებულებას 28 მილიონი აშშ დოლარით და 10 მილიონი აშშ დოლარით (შესაბამისი თანმიმდევრობით). დისკონტირების განაკვეთის 0,5 %-ით გაზრდა გამოიწვევდა ანაზღაურებადი ღირებულების შემცირებას 11 მილიონი აშშ დოლარით ბათუმის ნავთობტერმინალისთვის და 0,4 მილიონი აშშ დოლარით – ბათუმის საზღვაო ნავსადგურისთვის.

ხელმძღვანელობამ ჩაატარა ანალიზი მაჩვენებლისა, რომ აქტივები შესაძლოა კიდევ გაუფასურდეს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მან ვერ მოახდინა გარე ან შიდა ფაქტორების გამოვლენა, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ ძირითადი საშუალებების გაუფასურება ან 2018 წლის 30 აპრილს ჩატარებული გაუფასურების ტესტში გამოყენებული შეფასებებისა და დაშვებების მნიშვნელოვანი ცვლილება.

უიმედო დებიტორული დავალიანების რეზერვი

ჯგუფმა აღიარა რეზერვები სავაჭრო დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და გამოიყენა სტანდარტის გამარტივებული მიდგომა.

ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაიანგარიშა ამ ფინანსური ინსტრუმენტების ვადის გათვალისწინებით. ჯგუფმა გამოიყენა მისი საკრედიტო ზარალის გამოცდილების გათვალისწინებით მომზადებული ანარიცხის მოდელი, რომელიც მოვალეებთან დაკავშირებით მომავალზე ორიენტირებულ ფაქტორებს და ეკონომიკურ გარემოს მოერგო.

საკრედიტო დაწესებულებებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო დეპოზიტები), ჯგუფმა განსაზღვრა, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითი იყო.

ამგვარად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეფასებული არაუზრუნველყოფილი თანხების რეზერვი 8,036,024 აშშ დოლარის (2017 წ.: 6,820,952 აშშ დოლარი) ოდენობით სავალო ფინანსური აქტივის გაუფასურებით გამოწვეული შესაძლო ზარალის საუკეთესო შეფასებაა (მე-14 შენიშვნა).

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

პოტენციური საგადასახადო ვალდებულებების შეფასება

რთული საგადასახადო რეგულაციების ინტერპრეტაციასთან მიმართებაში გაურკვევლობები არსებობს. ჯგუფი, გონივრული შეფასებების საფუძველზე, ქმნის გარკვეულ ანარიცხებს საგადასახადო ორგანოების მხრიდან შემოწმების შესაძლო შედეგებისთვის. ანარიცხების დონეს რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს, კერძოდ წინა საგადასახადო შემოწმებიდან მიღებული გამოცდილება და დასაბეგრი საწარმოსა და შესაბამისი საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო კოდექსის განსხვავებული ინტერპრეტაცია. ინტერპრეტაციის ამგვარი განსხვავებები შესაძლოა წარმოიშვას მრავალ საკითხთან დაკავშირებით, ქვეყანაში უპირატესად არსებული ვითარებებიდან გამომდინარე. 22.7 შენიშვნაში განხილულია ბოლო საგადასახადო შემოწმების შედეგები და სხვა საგადასახადო პირობითი ვალდებულებები,

4. ფუნქციონირებადი საწარმო

2018 წლის განმავლობაში ჯგუფმა მოახდინა დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადების გენერირება, თუმცა ბათუმის ნავთობტერმინალთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები ნეგატიური იყო უმეტესად წინა პერიოდებთან შედარებით ნავთობპროდუქტების გადატვირთვის უფრო დაბალი რაოდენობის გამო. ბათუმის ნავთობტერმინალთან დაკავშირებით მისი ოპერაციების და კაპიტალური დანახარჯების საჭიროებების მხარდასაჭერად, 2019 წლის 12 თებერვალს ჯგუფმა მისი მშობელი კომპანიისგან სესხად აიღო 1,5 მილიონი აშშ დოლარი. ჯგუფი მოელის მშობელი კომპანიისგან აღებული სესხის გაზრდას 2019 წლის განმავლობაში, ამგვარი საჭიროების არსებობის შემთხვევაში. 2019 წლის 5 თებერვალს ხელმძღვანელობამ მშობელი კომპანიისგან მიიღო მხარდაჭერის წერილი, რომელშიც, მშობელი კომპანია ადასტურებს თავის განზრახვას მხარი დაუჭიროს ბათუმის ნავთობტერმინალის ოპერაციებს, თუ ამგვარი საჭიროება წარმოიშვება ახლო მომავალში.

ამასთან, ჯგუფს აქვს წმინდა მიმდინარე ვალდებულებები 85,025,254 აშშ დოლარის (2017 წ.: 85,103,903 აშშ დოლარი) ოდენობით. მიმდინარე ვალდებულებების ძირითადი კომპონენტია საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ არსებული სასესხო და სხვა დავალიანება. საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიების მიმართ ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი არასაოპერაციო ხასიათისაა და წარმოშობილია 2009 წელს ჯგუფის რეორგანიზაციის პროცესში. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მიმდინარე პოზიცია მესამე მხარეების მიმართ დადებითი იყო და შეადგენდა 2,476,856 აშშ დოლარს (2017 წ.: 3,767,103 აშშ დოლარი).

ხელმძღვანელობამ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან მიიღო 2019 წლის 4 თებერვლით დათარიღებული წერილები, რომლებითაც ეს კომპანიები ადასტურებენ, რომ არ მოითხოვენ ამ თანხების დაფარვას, თუ ეს ჯგუფს ზიანს მიაყენებს. ამგვარი ვალდებულებების მთლიანი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის 87,502,110 აშშ დოლარს შეადგენდა (2017 წ.: 89,116,959 აშშ დოლარი).

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ ჯგუფი მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. მომზადების საფუძველი ახდენს დაშვებას, რომ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო არ მოითხოვს მიმდინარე ვალდებულებების გადახდას, მინიმუმ, 2020 წლის 28 თებერვლამდე, თუ ეს ჯგუფს ზიანს მიაყენებს.

5. შემოსავალი

	2018	2017
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
შემოსავალი ნავთობპროდუქტების გადატვირთვიდან	10,159,714	15,527,992
სანავსადგურო მოსაკრებელი და მომსახურების ღირებულება (ა)	9,197,676	9,104,339
მშრალი ტვირთების ტერმინალი (ბ)	6,607,970	5,069,662
საიჯარო შემოსავალი (22.1 შენიშვნა)	981,628	1,186,416
სხვა შემოსავალი	195,668	154,568
	27,142,656	31,042,977

(ა) სანავსადგურო მოსაკრებელი და მომსახურების ღირებულება წარმოადგენს შემოსავალს გემებისთვის გაწეული მომსახურებიდან. ისინი მოიცავს შემდეგს: ნავსადგურში შემოსვლის მოსაკრებელი, ნავმისადგომის მოსაკრებელი, სარეიდო სადგომის მოსაკრებელი, ბუქსირით მომსახურების, სანიტარული მომსახურების, წყლით მომარაგების და სხვა მომსახურებების ღირებულება.

(ბ) ტერმინალი განკუთვნილია სამოცი ათას ტონამდე წონის ტვირთამწეობის გემებიდან მშრალი ტვირთის გადმოტვირთვისთვის. ტერმინალი სპეციალიზებულია ნაყარი და შერეული ტვირთების დამუშავებაზე. დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები ხორციელდება პორტალური ამწეების მეშვეობით.

6. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2018	2017
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
თანამშრომელთა სარგებელი	9,420,483	9,716,220
ცვეთა და ამორტიზაცია	7,529,157	8,572,162
მასალის პირდაპირი დანახარჯი	3,014,971	5,606,778
ქონებისა და მიწის გადასახადი	1,226,892	1,370,070
სახანძრო უსაფრთხოება და დაცვის სისტემა	1,000,498	1,180,283
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	588,937	1,212,670
იჯარის ხარჯი (22.2 შენიშვნა)	452,946	268,757
ელექტროენერგია	441,416	631,215
სხვა ხარჯები	1,212,195	861,128
	24,887,495	29,419,283

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)**

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
	<i>აშშ დოლარი</i>	<i>აშშ დოლარი</i>
თანამშრომელთა სარგებელი	2,857,796	4,317,137
საკრედიტო ზარალის ანარიცხი (მე-14 შენიშვნა)	1,307,667	3,303,933
პროფესიული მომსახურება	476,210	336,593
იჯარის ხარჯი (22.2 შენიშვნა)	236,666	327,760
მგზავრობის ხარჯი	135,611	123,987
ცვეთა და ამორტიზაცია	100,023	130,758
ადმინისტრაციული შენობების ტექნიკურ-სამეურნეო მომსახურება	77,533	45,798
ანარიცხები ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსებისთვის (22.6 შენიშვნა)	–	1,801,409
ავანსების ჩამოწერა	–	127,338
სხვა ხარჯები	444,521	637,708
	5,636,027	11,152,421

8. ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები

	2018	2017
	<i>აშშ დოლარი</i>	<i>აშშ დოლარი</i>
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		
საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებზე (მე-16 შენიშვნა)	119,049	38,465
საპროცენტო შემოსავალ ფინანსურ იჯარაზე (22.3 შენიშვნა)	34,830	37,090
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული სხვა შემოსავალი	26,024	–
	179,903	75,555
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		
სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების საპროცენტო ხარჯი (მე-18 შენიშვნა)	(1,990,555)	(2,098,410)
	(1,990,555)	(2,098,410)

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯები

	2018	2017
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		
შემოსავალი მაზუთის გაყიდვიდან	362,519	3,467,847
შემოსავალი დიზელის საწვავის გაყიდვიდან	–	2,371,329
გადახდილი მოგების გადასახადის ანაზღაურება (ა)	123,325	129,196
სხვა	277,425	161,842
	763,269	6,130,214
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		
გადახდილი ჯარიმები	679,212	–
გაყიდული მაზუთის თვითღირებულება	362,750	3,247,906
ქველმოქმედებაზე გაწეული ხარჯები	138,928	208,108
ძირითადი საშუალებების ჩამოწერასთან დაკავშირებული ზარალი	86,471	144,161
გაყიდული დიზელის საწვავის თვითღირებულება	–	2,404,621
სხვა	396,583	199,373
	1,663,944	6,204,169

(ა) გაწეული დანახარჯები უკავშირდება ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალზე გაცემული ფინანსური იჯარის საფუძველზე იჯარით აღებულ ქონებას (22.3 შენიშვნა) ეს საგადასახადო დანახარჯები მთლიანად ანაზღაურდება მოიჯარის მიერ.

10. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში შევიდა ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან და გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა გამოითვლება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება 2017 წლიდან არ იბეგრება მოგების გადასახადით. თუმცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 103-ე ნაწილის თანახმად, 2008-2016 წლების პერიოდების მოგების განაწილება რეზიდენტ კომპანიაზე, რომელიც 2017 წლის 1 იანვარისთვის გაუნაწილებელია, ასევე ითვლება მოგების განაწილებად და, შესაბამისად, იბეგრება გადასახადით. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. 2017 წელს ჯგუფმა მოგების გადასახადი 136,768 აშშ დოლარის ოდენობით ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მიერ ბათუმის ნავთობტერმინალზე განაწილებულ დივიდენდებზე 2016 წელს დასრულებული პერიოდისთვის. 2018 წლის განმავლობაში ბათუმის ნავთობტერმინალზე დივიდენდების განაწილება მოხდა 2017 წელს დაგროვილი მოგებიდან და, შესაბამისად, სადივიდენტო გადასახადი არ აღრიცხულა.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

11. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები და ნაგებობები	ტრანსპორტი	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
გადაფასებული ღირებულებით 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	41,625,034	72,470,691	29,763,492	10,943,600	844,357	8,197,616	163,844,790
შესყიდვები	-	-	-	-	-	3,328,903	3,328,903
დაუმთავრებელი მშენებლობიდან გადატანა	-	6,052,377	2,475,712	567,000	175,694	(9,270,783)	-
გასვლები	-	(36,586)	(37,232)	(71,000)	(54,881)	(3,225)	(202,924)
საკურსო სხვაობები	-	184,309	249,394	101,501	4,018	287,515	826,737
გადაფასებული ღირებულებით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	41,625,034	78,670,791	32,451,366	11,541,101	969,188	2,540,026	167,797,506
შესყიდვები	-	-	-	-	-	1,349,433	1,349,433
გადატანა დაუმთავრებელი მშენებლობიდან	-	281,734	472,668	681,102	34,161	(1,469,665)	-
გასვლები	-	-	(64,126)	(101,141)	(3,821)	(2,473)	(171,561)
გაუფასურება	-	(14,096,215)	(1,844,999)	(5,197,368)	(161,129)	-	(21,299,711)
საკურსო სხვაობები	-	(399,774)	(110,398)	(249,314)	(1,712)	(38,060)	(799,258)
გადაფასებული ღირებულებით 2018 წლის 31 დეკემბრის	41,625,034	64,456,536	30,904,511	6,674,380	836,687	2,379,261	146,876,409
დაგროვილი ცვეთა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	828,520	622,683	110,367	39,204	-	1,600,774
ცვეთის დანარიცხი	-	4,615,533	2,730,341	1,063,199	153,716	-	8,562,789
გასვლები	-	(610)	(11,167)	(4,000)	(3,311)	-	(19,088)
საკურსო სხვაობები	-	(16,888)	(33,350)	(11,372)	(388)	-	(61,998)
დაგროვილი ცვეთა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	5,426,555	3,308,507	1,158,194	189,221	-	10,082,477
ცვეთის დანარიცხი	-	3,716,197	2,312,320	1,090,330	510,333	-	7,629,180
გასვლები	-	-	(83,462)	(384)	(1,244)	-	(85,090)
საკურსო სხვაობები	-	(53,274)	(53,199)	(131,718)	(1,271)	-	(239,462)
2018 წლის 31 დეკემბრისთვის დარიცხული ცვეთა	-	9,089,478	5,484,166	2,116,422	697,039	-	17,387,105
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი, 2017 წ.	41,625,034	73,244,236	29,142,859	10,382,907	779,967	2,540,026	157,715,029
31 დეკემბერი, 2018 წ.	41,625,034	54,989,607	26,697,934	3,271,236	526,232	2,379,261	129,489,304

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ძირითადი საშუალებების ნაწილი დაყადაღებული იყო შემოსავლების სამსახურის მიერ, ჯგუფთან მიმდინარე საგადასახადო დავის შედეგად (22.7 შენიშვნა). ამასთან, ჯგუფის სხვადასხვა სასამართლო დავისთვის უზრუნველყოფის სახით დაგირავებული ძირითადი საშუალებების ნაწილი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის 5,854,011 აშშ დოლარს გაუტოლდა (2017 წ.: 50,366,848 აშშ დოლარი) (22.6 შენიშვნა).

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

12. არამატერიალური აქტივები

	პროგრამ- ული უზრუნ- ველყოფა	ლიცენზი- ები	უზუფრუქ- ტის უფლება მიწაზე	მიწით სარგებლობ- ის უფლება (ა)	სულ
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
თვითღირებულება					
2016 წლის 31 დეკემბერს	254,269	67,874	276,367	3,489,474	4,087,984
შესყიდვები	45,302	210,412	–	–	255,714
დაგროვილი ამორტიზაციის ჩამოწერა	(13,959)	–	–	–	(13,959)
საკუთსო სხვაობები	1,184	(5,354)	5,821	73,500	75,151
2017 წლის 31 დეკემბერს	286,796	272,932	282,188	3,562,974	4,404,890
შესყიდვები	9,887	4,113	–	–	14,000
საკუთსო სხვაობები	(9,636)	(8,445)	(8,898)	(112,350)	(139,329)
2018 წლის 31 დეკემბერს	287,047	268,600	273,290	3,450,624	4,279,561
ამორტიზაცია და გაუფასურება					
2017 წლის 1 იანვრის					
მდგომარეობით	80,526	11,918	5,151	456,606	554,201
ამორტიზაცია	32,541	16,224	9,316	82,050	140,131
დაგროვილი ამორტიზაციის ჩამოწერა	(13,959)	–	–	–	(13,959)
საკუთსო სხვაობები	862	(272)	(192)	6,972	7,370
2017 წლის 31 დეკემბერს	99,970	27,870	14,275	545,628	687,743
ამორტიზაცია	34,538	72,429	7,534	81,210	195,711
საკუთსო სხვაობები	(9,385)	(4,630)	(846)	(21,515)	(36,376)
2018 წლის 31 დეკემბერს	125,123	95,669	20,963	605,323	847,078
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2017 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	186,826	245,062	267,913	3,017,346	3,717,147
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2018 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	161,924	172,931	252,327	2,845,301	3,432,483

(ა) მიწით სარგებლობის უფლება ეხება ბათუმის საზღვაო ნავსადგურის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, რომელიც ჯგუფს 49 წლის ვადით გადაეცა 2006 წლის 22 ივლისით დათარიღებული ხელშეკრულების საფუძველზე მართვის უფლების შესახებ.

13. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

31 დეკემბრის მდგომარეობით, სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში შედიოდა:

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
სათადარიგო ნაწილები	1,604,335	1,606,896
საწვავი	500,072	1,089,694
სხვა	14,364	37,590
	2,118,771	2,734,180

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

14. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება მოიცავდა შემდეგს:

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
მესამე მხარეებისგან მისაღები სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	9,193,970	8,691,031
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(8,036,024)	(6,820,952)
	1,157,946	1,870,079

საკრედიტო ზარალის ანარიცხში ცვლილების შეჯერება მოცემულია ქვემოთ:

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
1 იანვრის მდგომარეობით	(6,820,952)	(3,518,123)
ბუღალტრული აღრიცხვის ახალი სტანდარტის მიღების ეფექტი (2.4 შენიშვნა)	(52,290)	–
1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	(6,873,242)	(3,518,123)
წლის წმინდა დანარიცხი და მისი შემოზრუნება (ა)	(1,307,667)	(3,303,933)
საკურსო სხვაობა	144,885	1,104
	(8,036,024)	(6,820,952)

2017 წელს შეიქმნა საკრედიტო ზარალის ანარიცხი სავაჭრო მოთხოვნებზე, მათ შორის გადატვირთვის მომსახურების შედეგად წარმოშობილ დებიტორულ დავალიანებაზე, კონტრაქტორთა დაკავშირებული ჯგუფის მიმართ, რომელთანაც ჯგუფს მიმდინარე დავა აქვს (22.6 შენიშვნა).

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია ჯგუფის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საკრედიტო რისკზე დაქვემდებარების შესახებ, შეფასებული რეზერვების მოდელის გამოყენებით:

	სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება					
	ვადაგადაცილებული დღეები					
31 დეკემბერი, 2018 წ.	მიმდინარე	30 დღეზე ნაკლები	30-60 დღე	61-90 დღე	91 დღეზე მეტი	სულ
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	0%	10%	6%	3%	97%	
მთლიანი შეფასებული მოსალოდნელი დეფოლტირებული საბალანსო ღირებულება	128,566	589,392	70,520	150,932	8,254,560	9,193,970
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	–	(57,466)	(4,441)	(4,783)	(7,969,334)	(8,036,024)

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

14. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2017 წ.	სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება					
	ვადაგადაცილებული დღეები					
	მიმდინარე	30 დღეზე	30-60 დღე		91 დღეზე	სულ
		ნაკლები	30-60 დღე	61-90 დღე	მეტი	
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	0%	10%	6%	3%	97%	
მთლიანი შეფასებული მოსალოდნელი დეფოლტირებული საბალანსო ღირებულება	769,371	760,035	341,363	256,952	6,563,310	8,691,031
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	–	(187,899)	(36,608)	(50,363)	(6,546,082)	(6,820,952)

15. მიმდინარე გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა

31 დეკემბრის მდგომარეობით, წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, მოიცავდა შემდეგს:

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
ანაზღაურებადი დღე, წმინდა ქონების გადასახადი	15,994,824	16,368,516
	262,036	180,184
	16,256,860	16,548,700

31 დეკემბრის მდგომარეობით, საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა, მოიცავდა შემდეგს:

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
საშემოსავლო გადასახადი	8,168,434	8,158,202
დაკავებული გადასახადი	2,902,711	3,116,360
მიწის გადასახადი	457,862	470,409
სოციალური გადასახადი	337,021	347,994
ქონების გადასახადი	306,448	555,468
სხვა	439,928	419,532
	12,612,404	13,067,965

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავდა შემდეგს:

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე	1,200,328	623,694
ნაღდი ფულის ნაშთი საღაროში	1,541	1,843
	<u>1,201,869</u>	<u>625,537</u>

ჯგუფი საპროცენტო შემოსავალს იღებს რეზიდენტ ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე. მიმდინარე ანგარიშებზე მიღებული საპროცენტო შემოსავალი შეადგენდა 119,049 აშშ დოლარს (2017 წ.: 38,465 აშშ დოლარი).

17. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის 910,765 აშშ დოლარით განისაზღვრა და მას ერთპიროვნულად ფლობს სს „ყაზტრანსოილი“, ყაზახეთის რესპუბლიკის რეზიდენტი კომპანია.

გადაფასების რეზერვი

აქტივების გადაფასების რეზერვი გამოიყენება ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების ზრდის აღრიცხვისთვის, და ასევე შემცირების აღრიცხვისთვის იმდენად, რამდენადაც ამგვარი შემცირება უკავშირდება ღირებულების ზრდას იმავე აქტივზე, რომელიც მანამდე კაპიტალში იყო აღიარებული. რეზერვის გამოყენება დივიდენდების გადასახდელად არ შეიძლება.

საკურსო სხვაობის რეზერვი

საკურსო სხვაობის რეზერვი გამოიყენება ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან დაკავშირებული საკურსო სხვაობების აკუმულირებისთვის, როდესაც წარსადგენი ვალუტა განსხვავდება სამუშაო ვალუტისგან.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

18. სესხები

31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხები და გადასახდელი ანგარიშები მოიცავდა შემდეგს:

სესხები	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი, 2018 წ. აშშ დოლარი	31 დეკემბერი, 2017 წ. აშშ დოლარი
პეტროტრანს ლიმიტედი	31 დეკემბერი, 2019 წ.	19,668,712	18,468,712
პეტროტრანს ლიმიტედი	31 დეკემბერი, 2019 წ.	8,862,202	8,202,202
პეტროტრანს ლიმიტედი	31 დეკემბერი, 2019 წ.	2,046,542	1,949,395
პეტროტრანს ლიმიტედი	31 დეკემბერი, 2019 წ.	931,341	897,933
პეტროტრანს ლიმიტედი	მოთხოვნამდე	13,500,565	13,500,565
პეტროტრანს ლიმიტედი	მოთხოვნამდე	108,300	108,300
სულ სესხები		45,117,662	43,127,107

არაბთა გაერთიანებულ სამხრეთში დაფუძნებული საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიის – პეტროტრანს ლიმიტედისგან – მიღებული სესხები აშშ დოლარშია გამოხატული. ჯგუფს პეტროტრანს ლიმიტედისგან ასევე მიღებული აქვს უპროცენტო სესხი 13,500,565 აშშ დოლარის ოდენობით (2017 წ.: 13,500,565 აშშ დოლარი). სესხები არ არის უზრუნველყოფილი და პროცენტიანი სესხები უნდა დაიფაროს დარიცხულ პროცენტთან ერთად. 2018 წლის განმავლობაში სესხზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი შეადგენდა 1,990,555 აშშ დოლარს (2017 წ.: 2,098,410 აშშ დოლარი).

19. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება მოიცავდა შემდეგს:

	31 დეკემბერი, 2018 წ. აშშ დოლარი	31 დეკემბერი, 2017 წ. აშშ დოლარი
დაკავშირებული მხარეებისთვის გადასახდელი თანხები (21.1 შენიშვნა)	41,668,543	40,989,331
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	1,174,642	754,117
ძირითად საშუალებებზე გადასახდელი თანხები	812,808	1,053,946
თანამშრომლებზე გასაცემი ხელფასები	1,098	282,560
სხვა დავალიანება	314,678	1,725,574
	43,971,769	44,805,528

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

20. ანარიცხები

	გამოუყენებელი შვებულებები	სახელშეკრულებო ვალდებულება	საგადასახადო რეზერვები (22.7 შენიშვნა)	სულ
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
2016 წლის 31 დეკემბერს	207,359	–	506,421	713,780
წლის დანარიცხი	4,899	14,410	–	19,309
შემობრუნება წლის განმავლობაში	(79,785)	–	–	(79,785)
საკურსო სხვაობები	2,076	–	10,668	12,744
2017 წლის 31 დეკემბერს	134,549	14,410	517,089	666,048
წლის დანარიცხი	49,206	36,439	–	85,645
შემობრუნება წლის განმავლობაში	(79,767)	–	–	(79,767)
საკურსო სხვაობები	(1,727)	–	(16,307)	(18,034)
2018 წლის 31 დეკემბერს	102,261	50,849	500,782	653,892

21. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

21.1 საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გარიგებები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც შესაბამის ფინანსურ წელს განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

	გაყიდვები	გადასახდელი თანხები	მისაღები თანხები
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები			
2018			
პეტროტრანს ლიმიტედი	5,003,631	–	42,556,321
2017			
პეტროტრანს ლიმიტედი	7,547,472	–	43,366,615

პეტროტრანს ლიმიტედი სწევს ტვირთის გადაზიდვის და საექსპედიტორო მომსახურებას საქართველოს მასშტაბით და ჯგუფის მომსახურებით მარშრუტის ბოლო მონაკვეთზე სარგებლობს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ვალდებულება პეტროტრანსის მიმართ მოიცავდა მიღებულ ავანსებს 887,778 აშშ დოლარის (2017 წ.: 2,377,284 აშშ დოლარი) ოდენობით, რომელიც შესულია სახელშეკრულებო ვალდებულებებში.

2018 და 2017 წლებში პეტროტრანს ლიმიტედის მიმართ არსებული დავალიანება მოიცავდა 40,989,331 აშშ დოლარს, რომელიც გადასახდელი იყო ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ექსკლუზიური მართვის უფლების შესყიდვისთვის. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა ასევე აღრიცხა ჯარიმის ვალდებულება პეტროტრანსის მიმართ, რომელიც გადატვირთვის სახელშეკრულებო ვალდებულებებს უკავშირდებოდა (მე-9 შენიშვნა).

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

21. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

21.2 ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული გარიგებები

დაფინანსების გარიგებები	საპროცენტო ხარჯი	ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები		
2018		
პეტროტრანს ლიმიტედი	1,990,555	45,117,662
2017		
პეტროტრანს ლიმიტედი	2,098,410	43,127,107

დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების ძირითადი პირობები წარმოდგენილია მე-18 შენიშვნაში.

21.3 გარიგებები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა 2018 წელს 9 პირისგან შედგებოდა (2017 წ.: 10). მათი მთლიანი ანაზღაურება მოიცავდა მიმდინარე ხელფასებს და პრემიებს და გაუტოლდა 1,139,954 აშშ დოლარს (2017 წ.: 1,131,200 აშშ დოლარი). სხვა გარიგებები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან არ შემდგარა.

22. პირობითი ვალდებულებები

22.1 საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები – ჯგუფი, როგორც მემკვიდრე

ჯგუფს, როგორც მემკვიდრეს, ორი მნიშვნელოვანი საიჯარო ხელშეკრულება აქვს გაფორმებული.

შეუქცევად საოპერაციო იჯარებზე მისაღები მინიმალური სამომავლო იჯარა:

	ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის იჯარა	შპს „ვიბრო დიაგნოსტიკა“	სულ
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
ერთი წლის განმავლობაში	540,767	45,661	586,428
ერთი წლის შემდეგ, მაგრამ არაუმეტეს ხუთი წლისა	2,796,400	182,644	2,979,044
5 წელზე მეტი ხნის შემდეგ	23,581,071	958,881	24,539,952
	26,918,238	1,187,186	26,918,238
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
ერთი წლის განმავლობაში	540,767	45,661	586,428
ერთი წლის შემდეგ, მაგრამ არაუმეტეს ხუთი წლისა	2,396,400	182,644	2,579,044
5 წელზე მეტი ხნის შემდეგ	25,062,604	1,004,542	25,993,875
	27,999,771	1,159,576	29,159,347

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

22. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

22.1 საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები – ჯგუფი, როგორც მფლობელი (გაგრძელება)

- 2007 წლის აპრილში ჯგუფი დათანხმდა შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალისთვის“ მე-4, მე-5, მე-6 ნავმისადგომების, საბორნე ტერმინალის, გარკვეული მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობის, ასევე 13.6 ჰექტარის მიწის ნაკვეთის გადაცემაზე 48 წლიანი იჯარით, რომლის ვადაც 2055 წლის 30 ნოემბერს იწურება. ჯგუფმა საიჯარო გადასახდელები გადაანაწილა ფინანსურ და საოპერაციო იჯარების ელემენტებს შორის, თითოეული ელემენტის იჯარის უფლებით ფლობის სამართლიანი ღირებულებების პროპორციულად. საოპერაციო იჯარის ნაწილზე წლიური გადახდები 2020 წლის ნოემბრამდე 540,767 აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო იჯარის ვადის ამოწურვამდე (2055 წლის ნოემბერი) დარჩენილი პერიოდების განმავლობაში – 740,767 აშშ დოლარს.
- 2014 წლის 17 იანვარს და 2014 წლის 16 მაისს ჯგუფმა გააფორმა მიწის საიჯარო ხელშეკრულებები შპს „Vibrodiagnostiks“-თან. საიჯარო ხელშეკრულებების ვადა 30 წელიწადში იწურება.

2018 და 2017 წლების საოპერაციო იჯარიდან შემოსავალი მოიცავს შემდეგს:

	ბათუმის საერთაშო- რისო საკონტეინერო- ტერმინალის იჯარა	ამწეების და ბარჟის საიჯარო ქირა	შპს "ვიბროდიაგ- ნოსტიკა" აშშ დოლარი	საოფისე ფართი აშშ დოლარი	სხვა აშშ დოლარი	სულ აშშ დოლარი
2018						
საოპერაციო იჯარიდან შემოსავალი	819,108	–	45,661	46,203	70,656	981,628
2017						
საოპერაციო იჯარიდან შემოსავალი	841,203	190,024	45,661	26,954	82,574	1,186,416

22.2 საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები – ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ჯგუფს, როგორც მოიჯარეს, ერთი მნიშვნელოვანი იჯარის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ქართულ სალოკომოტივო კომპანიასთან.

ჯგუფს იჯარით აქვს აღებული ორი სალოკომოტივი (HME-3) ქართული სალოკომოტივო კომპანიისგან. ერთი სალოკომოტივით სარგებლობის საათობრივი ღირებულება ფიქსირებული 105 აშშ დოლარია (დღ-ის გარეშე). იჯარის ხელშეკრულება პერიოდულად ახლდება. მიმდინარე იჯარა ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

22. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

22.2 საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები – ჯგუფი, როგორც მოიჯარე (გაგრძელება)

ამ საიჯარო ხელშეკრულებების თანახმად სამომავლო მინიმალური საიჯარო გადასახადები ასეთია:

	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
ლოკომოტივების იჯარა		
ერთი წლის განმავლობაში	391,810	270,966
ერთი წლის შემდეგ, მაგრამ არაუმეტეს ხუთი წლისა	391,810	270,966
	783,620	541,932

2018 და 2017 წლების საოპერაციო იჯარის ხარჯი მოიცავს შემდეგს:

	2018	2017
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
თანამშრომელთა საცხოვრებლის ქირა	236,666	327,760
ლოკომოტივების იჯარა	413,015	268,757
	649,681	596,517

22.3 ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები – ჯგუფი, როგორც მეიჯარე

ჯგუფს, როგორც მოიჯარეს, გაფორმებული აქვს ფინანსური იჯარის ერთი მნიშვნელოვანი ხელშეკრულება ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალთან მე-4, მე-5, მე-6 ნავმისადგომების იჯარაზე (22.1 შენიშვნა).

სამომავლო მინიმალური საიჯარო გადასახდელები ფინანსური იჯარის ფარგლებში, წმინდა მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელ ღირებულებასთან ერთად ასეთია:

	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის იჯარა		
ერთი წლის განმავლობაში	39,781	39,993
ერთი წლის შემდეგ, მაგრამ არაუმეტეს ხუთი წლისა	152,934	159,972
5 წელზე მეტი ხნის შემდეგ	1,217,096	1,261,701
სულ მინიმალური საიჯარო გადასახდელები	1,409,810	1,461,666
გამოკლებული: ფინანსური ხარჯები	(1,153,877)	(1,205,530)
მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება	255,934	256,136

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

22. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

22.3 ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები – ჯგუფი, როგორც მეიჯარე (გაგრძელება)

2018 წლის განმავლობაში ფინანსურ იჯარაზე დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 34,830 აშშ დოლარი (2017 წ.: 37,090 აშშ დოლარი).

ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის იჯარით გადაცემული მიწა მოიცავს შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებულ გარკვეულ ინფრასტრუქტურას (შემდგომში „ობიექტები“). საიჯარო ხელშეკრულების თანახმად, ჯგუფი ვალდებული იყო ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის მოთხოვნის შემთხვევაში მოეხდინა ამ ობიექტების დემონტაჟი, თუ ის ხელს შეუშლიდა ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის ოპერაციებს. იმის გათვალისწინებით, რომ დემონტაჟისთვის საჭირო დროისა და ხარჯების შეფასება შეუძლებელი იყო, ჯგუფმა არ გაითვალისწინა ეს ხარჯები საიჯარო ხელშეკრულების თავდაპირველი აღიარებისას და ასეთი ხარჯები გაწეულად ჩათვალა.

2011 წელს ჯგუფმა ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალისგან მიიღო ობიექტების დემონტაჟის მოთხოვნა. ჯგუფმა და დაასრულა ახალი ობიექტის მშენებლობა საქართველოს რკინიგზისთვის. 2016 წლის 1 იანვრამდე ჯგუფს აღნიშნულ სამუშაოებზე დახარჯული აქვს 1,075,530 აშშ დოლარი და მთლიანი თანხა გატარებული აქვს ხარჯებში.

ნაგებობა გადაეცემა საქართველოს რკინიგზას 2019 წელს, რის შემდეგაც ჯგუფი დაიწყებს ობიექტის დემონტაჟს. როდესაც ახალი ობიექტი გადაეცემა შპს „საქართველოს რკინიგზას“, ის დაექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას.

22.4 კაპიტალური ვალდებულებები

2018 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფს აქვს 152,374 აშშ დოლარის (2017 წ.: 168,925 აშშ დოლარი) ოდენობის კაპიტალური დაბანდების ვალდებულებები ღია სამშენებლო კონტრაქტების სახით.

22.5 საოპერაციო ვალდებულებები

მართვის ხელშეკრულების პირობების თანახმად, ბათუმის საზღვაო ნავსადგურმა უნდა უზრუნველყოს შეთანხმებული წლიური გადაზიდვები ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ ბათუმის საზღვაო ნავსადგური ვერ შეძლებს შეთანხმებული მოცულობის გადაზიდვას, მესაკუთრეს (სახელმწიფოს) უფლება აქვს, შემდეგი ჯარიმების გადახდა მოითხოვოს მართვის ხელშეკრულების შესაბამის მოცულობებში ნაკლებობისთვის:

2018 წლის განმავლობაში რეალურმა გადატვირთვებმა ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მეშვეობით არ მიაღწია მინიმალურ მოთხოვნას და ჯგუფმა შექმნა 36,439 აშშ დოლარის ოდენობის ჯარიმის ანარიცხები (2017 წ.: 14,410 აშშ დოლარი).

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

22. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

22.6 სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენები

კლიენტების სარჩელები

2016 წლის 19 დეკემბერს ჯგუფმა იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტისგან მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლოს (შემდგომში „სასამართლო“) მიერ 2016 წლის 9 დეკემბერს გაცემული სააღსრულებო ფურცელი. სასამართლომ სააღსრულებო ფურცლები გასცა ჯგუფისთვის შეტყობინების გარეშე, ჯგუფის ორი კლიენტის (შემდგომში „მოსარჩელები“) მიერ წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

პირველი სააღსრულებო ფურცლით ჯგუფს მოეთხოვა, რომ ემოქმედა კონკურენციის შესახებ კანონის შესაბამისად, არ დაეწესებინა გადატვირთვის დისკრიმინაციული და უსამართლო ტარიფები, ძალაში დაეტოვებინა გადატვირთვის არსებული ტარიფები, არ შეეწყვიტა გადატვირთვის არსებული ხელშეკრულება და არ შეეწყვიტა მომსახურება ერთ-ერთი მოსარჩლისთვის სასამართლოში საქმის გადაწყვეტამდე. მეორე სააღსრულებო ფურცლით ჯგუფს მოეთხოვებოდა, რომ არ დაეწესებინა დისკრიმინაციული ტარიფები მეორე მოსარჩლისთვის შენახვისა და გადატვირთვის მომსახურების გაწევაზე და შეეთავაზებინა იგივე ტარიფები, რომლებსაც უწესებდა სხვა კლიენტებს. ამასთან, მოცემული

სააღსრულებო ფურცლის ფარგლებში, გარკვეული ძირითადი საშუალებები დაგირავდა მოსარჩლის მიერ შეტანილი სარჩელის უზრუნველყოფის გარანტიის სახით. სარჩელის უზრუნველყოფის გარანტიის სახით დაგირავებული ძირითადი საშუალებების თვითღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის 5,854,011 აშშ დოლარს გაუტოლდა (2017 წ.: 50,366,848 აშშ დოლარი). 2018 წლის განმავლობაში ჯგუფმა წარმატებით მოითხოვა დაგირავებული ძირითადი საშუალებების ცვლილება უფრო დაბალი და დამაკმაყოფილებელი ღირებულების მქონე სხვა უზრუნველყოფით.

2016 წლის 29 დეკემბერს ჯგუფმა გაასაჩივრა სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელების უზრუნველყოფის თაობაზე. მოსარჩელებმა სასამართლოში სარჩელი აღძრეს 2017 წლის 15 თებერვალს, რომლითაც მოითხოვდნენ, რომ ჯგუფს დაკისრებოდა გადატვირთვის წლიური მომსახურების ხელშეკრულებების განახლება მოსარჩელების პირობებით, ვინაიდან გადატვირთვის შესახებ მიმდინარე ხელშეკრულებების ვადა ამოწურული იყო. მოსარჩელებმა ასევე მოითხოვეს ზიანის ანაზღაურება განაჩენის აღსრულებამდე.

2019 წლის 12 თებერვალს სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელების მოთხოვნები. ჯგუფი გეგმავს სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ინსტანციაში გასაჩივრებას. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს სარჩელები უსაფუძვლოა, ვინაიდან მოსარჩელებისთვის შეთავაზებული გადატვირთვისა და შენახვის ტარიფები კონკურენტული და სხვა კლიენტებისთვის შეთავაზებული ტარიფების იდენტურია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

22. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

22.6 სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენები (გაგრძელება)

სასამართლო დავა საქართველოს რკინიგზასთან

ჯგუფს 2005 წლის დეკემბრიდან სასამართლო დავა აქვს საქართველოს რკინიგზასთან. საქართველოს რკინიგზამ მოითხოვა ჯგუფისთვის 13,942,000 ლარის (2014 წლის 9 ივნისის მდგომარეობით 7,880,000 აშშ დოლარის) დაკისრება, 2003 წლის 1 ივლისიდან 2005 წლის 1 დეკემბრამდე სარკინიგზო ვაგონების არასრულყოფილი მომსახურების შედეგად მათი მოცდენის საფასურის ანაზღაურება. მხარეებმა 2002 წელს გააფორმეს გადატვირთვის მომსახურების ხელშეკრულება. საქმე განიხილეს ბათუმისა და თბილისის საქალაქო სასამართლოებმა და 2006 წლის 9 იანვარს საქართველოს რკინიგზის მიერ წამოყენებული ანაზღაურების მოთხოვნა სასამართლომ არ მიიღო. საქმე ხელახლა განიხილა 2012 წლის ნოემბერში თბილისის საქალაქო სასამართლომ და საქართველოს რკინიგზის სარჩელი არ დააკმაყოფილა. 2013 წლის სექტემბერში სარჩელი მიუღებლად გამოაცხადა თბილისის სააპელაციო სასამართლომ. თუმცა, 2014 წლის ივნისში საქმე განიხილა უზენაესმა სასამართლომ და კვლავ დაუბრუნა თბილისის სააპელაციო სასამართლოსა და, საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს. 2014 წლის 29 ივლისს ჯგუფმა საკასაციო საჩივარი შეიტანა თბილისის უზენაეს სასამართლოში.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ეთანხმება სარჩელს და აცხადებს, რომ 2003 წლის ივლისიდან, ანუ ჯარიმების დარიცხვამდე, შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“ და საქართველოს რკინიგზამ გააფორმეს შეთანხმება 2003 წლის 10 ივლისის თარიღით, რომლითაც მხარეები აღიარებდნენ, რომ ერთმანეთის მიმართ არ ჰქონდათ რამე ფინანსური ვალდებულება. ხელმძღვანელობა ასევე მიიჩნევს, რომ შეტყობინება სათანადოდ აქვს გაგზავნილი 2002 წლის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. შესაბამისად, ხელმძღვანელობის აზრით, სარჩელი სრულიად უსაფუძვლოა. ბათუმის ნავთობტერმინალმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა და მომდევნო სასამართლო პროცესი გაიმართება 2019 წლის 16 აპრილს.

თანადაფინანსების პროექტი კლიენტთან ერთად

ჯგუფმა კლიენტთან ერთად დააფინანსა კაპიტალური პროექტი, რომელიც უკავშირდება თავის არსებულ ტერმინალის აქტივებს. მისი მონაწილეობა დაფინანსებაში 2.7 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. პროექტის მთლიანი ღირებულება 5.4 მილიონი აშშ დოლარითაა შეფასებული. ამ აქტივების მესაკუთრე იქნება ჯგუფი, ხოლო კლიენტს ექნება მათი გამოყენების უპირატესი უფლება 2045 წლის 1 ივლისამდე. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1.8 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების კაპიტალური სამუშაოები ჩატარდა. ჯგუფმა დაუმთავრებელი მშენებლობის სრულად კაპიტალიზაცია მოახდინა და აღრიცხა გადავადებული შემოსავალი 905,000 აშშ დოლარის ოდენობით, რადგან აღებული აქვს ვალდებულება, რომ კლიენტს გადატვირთვის მომსახურება გაუწიოს შედარებით დაბალი ტარიფებით.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

22. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

22.6 სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენები (გაგრძელება)

წყალქვეშა მილების მიწოდება და დამონტაჟება, რაშიც 1.8 მილიონი აშშ დოლარის ავანსი გადახდილია, უნდა განხორციელებულიყო 2017 წლის 31 ოქტომბრამდე. ვადების არაერთხელ გადაწევის გამო, ხელმძღვანელობამ შეაფასა კლიენტის ვალდებულების შესრულების ალბათობა საეჭვოდ და შექმნა გადახდილი ავანსების სრული რეზერვი.

22.7 საგადასახადო პირობითი ვალდებულებები

საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ ჩატარებული საგადასახადო შემოწმება

საქართველოს შემოსავლების სამსახურმა ბათუმის ნავთობტერმინალს ინსპექცია ჩაუტარა. შემოწმება მოიცავდა პერიოდს 2015 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 ივლისამდე. 2018 წლის 24 დეკემბერს შემოსავლების სამსახურმა შეადგინა საგადასახადო შემოწმების აქტი შემოწმების პერიოდისთვის. აქტის საფუძველზე, საქართველოს შემოსავლების სამსახურმა ჯგუფს დააკისრა დამატებითი გადასახადები და ჯარიმები 1,856,000 აშშ დოლარის ოდენობით.

ჯგუფისა ხელმძღვანელობის აზრით, დამატებით დარიცხული გადასახადები და საურავები უსაფუძვლოა და 2019 წლის იანვარში გაასაჩივრა თანხა ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტში.

საქართველოს შემოსავლების სამსახურმა ჩაატარა ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ინსპექტირება 2015 წელს და დააკისრა დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები მთლიანი ოდენობით 2,810,135 აშშ დოლარი, რომელიც 2010-დან 2014 წლამდე პერიოდს უკავშირდებოდა. ჯგუფი არ დაეთანხმა ზემოაღნიშნულს და საქართველოს შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროში გაასაჩივრა. 2016 წლის 23 სექტემბერს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც, 775,017 აშშ დოლარის ოდენობით დარიცხული თანხები უნდა გადამოწმდეს აუდიტის დეპარტამენტის მიერ. ამის შედეგად, აუდიტის განყოფილებამ გამოსცა თავისი გადაწყვეტილებები 2017 წლის 11 მაისსა და 13 სექტემბერს. ამ გადაწყვეტილებების თანახმად, თანხის დიდი ნაწილი გაუქმდა და 339,094 აშშ დოლარის ოდენობის თანხა კვლავაც რჩებოდა დავის საგნად. გადაწყვეტილება გასაჩივრდა ფინანსთა სამინისტროში. ჯგუფის მოლოდინით, გასაჩივრების შედეგი 2019 წლის განმავლობაში გახდება ცნობილი.

რაც შეეხება, დარიცხული თანხის დარჩენილ ნაწილს, ის არ ექვემდებარება აუდიტის დეპარტამენტის მხრიდან გადამოწმებას, რადგან ჯგუფმა გაასაჩივრა ეს თანხა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილებაც 2019 წლის განმავლობაში გახდება ცნობილი.

ხელმძღვანელობამ შეაფასა საგადასახადო შემოწმების ანგარიშში ასახული თითოეული პოზიციის დადებითი შედეგის ალბათობა და მიაჩნია, რომ ნაკლებად სავარაუდოა 517,089 აშშ დოლარის ოდენობით დარიცხული ანარიცხების გარდა დამატებითი ეკონომიკური სარგებლის გადინება.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

22. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

22.7 საგადასახადო პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

სატრანსფერო ფასწარმოქმნა

2013 წლის 18 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის #423 ბრძანებით ძალაში შევიდა „საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციებზე ფასების განსაზღვრის შესახებ ინსტრუქცია“ (შემდგომში „ინსტრუქცია“), რომელიც განმარტავს საქართველოს საგადასახადო კოდექსში დადგენილ სატრანსფერო ფასწარმოქმნის პრინციპებს. ჯგუფს მნიშვნელოვანი გარიგებები აქვს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ ოფშორულ კომპანიასთან, შპს „პეტროტრანსი“. ეს ოპერაციები შეესაბამება დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების განსაზღვრებას, ამიტომ შეიძლება საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა ისინი ეჭვქვეშ დააყენოს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მას აქვს საკმარისი არგუმენტები, რათა დაამტკიცოს, რომ კომპანიებს შორის გარიგებების ფასების განსაზღვრა გაშლილი ხელის პრინციპს ეფუძნება, თუმცა, სატრანსფერო ფასწარმოქმნის მეთოდების და შესაბამისი ინფორმაციის წყაროს განსხვავებული ინტერპრეტაციის გამო, საგადასახადო ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ ჯგუფისგან განსხვავებული პოზიცია.

23. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისგან და ასევე სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია დაფინანსების მოზიდვა ჯგუფის ოპერაციებისთვის.

ჯგუფს აქვს სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება, და ნაღდი ფული და მოკლევადიანი ანაზრები, რომლებსაც ის პირდაპირ თავისი ოპერაციებიდან იღებს.

ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებს.

ჯგუფის საბაზრო რისკი უმნიშვნელოა, რადგანაც მას არ აქვს ისეთი მნიშვნელოვანი აქტივები ან ვალდებულებები, რომლებზეც სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობა იმერყევებს საბაზრო ფასებში ცვლილებების გამო. ჯგუფს არ აქვს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები. ისეთ ვალუტებში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ წარმოადგენს ჯგუფის სამუშაო ვალუტას, არაარსებითია.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას. ჯგუფი საკმაოდ შეზღუდულად ეწევა ისეთ საქმიანობას, რომლის დროსაც ფინანსური რისკის აღება მოუწევდა. ჯგუფი არ ეწევა წარმოებული ინსტრუმენტებით რაიმე საქმიანობას რისკის მართვის ან სხვა მიზნებისთვის.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

23. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკები (გაგრძელება)

ჯგუფის თითოეული შესაბამისი რისკის მართვის პოლიტიკა შეფასებულია ქვემოთ:

(i) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაქტის ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ჯგუფს ფინანსური ზარალი მიაღებდა. ჯგუფს საკრედიტო რისკი ემუქრება საოპერაციო საქმიანობის და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული ანაბრებიდან გამომდინარე.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანება, ძირითადად, 2017 წლის ბოლო კვარტალში დაირიცხა და ხელმძღვანელობა ამ თანხების ამოღებას 2018 წლის პირველ ნახევარში მოელოდა. საკრედიტო რისკის მაქსიმალურ მოცულობას საანგარიშგებო თარიღისთვის წარმოადგენს სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება 1,157,946 აშშ დოლარის (2017 წ.: 1,870,079 აშშ დოლარი) ოდენობით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკს აკონტროლებს ნაღდი ფულისა და ანაბრების განთავსებით საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც ჯგუფთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს. საკრედიტო რისკის მაქსიმალურ მოცულობას საანგარიშგებო თარიღისთვის წარმოადგენს ბანკებში განთავსებული ნაღდი ფულისა და ანაბრების საბალანსო ღირებულება 1,201,869 აშშ დოლარის (2017 წ.: 625,537) ოდენობით.

(ii) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. ჯგუფს ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ძირითადი ვალუტების კურსების მერყეობა.

ლარისა და ევროს მიმართ აშშ დოლარის კურსის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების შემთხვევაში, სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობით, 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოგება ყველა გადასახადების გადახდის შემდეგ შემდეგნაირად შეიცვლებოდა:

	აშშ დოლარი/ლარის კურსის ცვლილება	აშშ დოლარი/ევროს კურსის ცვლილება	ეფექტი ზარალზე გადასახადით დაბეგვრამდე აშშ დოლარი
2018	+11.00%	+11.70%	(323,205)
	-11.00%	-7.00%	326,651
2017	+13.50%	+12.50%	(106,061)
	-9.50%	-7.50%	68,474

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

23. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკები (გაგრძელება)

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ჯგუფი ფულადი სახსრების დეფიციტის რისკს აკონტროლებს ფულადი ნაკადების მოსალოდნელი გადინებისა და შემოდინების ანალიზით ერთ თვეზე ნაკლები, ერთიდან სამ თვემდე, სამი თვიდან ერთ წლამდე და ერთიდან ხუთ წლამდე პერიოდებისთვის.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული გადახდების საფუძველზე.

31 დეკემბერი, 2018 წ.	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრუ- ლებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	0-დან 12 თვემდე
ფინანსური ვალდებულებები				
პროცენტული სესხები (მე-18 შენიშვნა)	45,117,662	47,108,217	13,608,865	33,499,352
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (მე-19 შენიშვნა)	43,971,769	43,971,769	43,971,769	–
	89,089,431	91,079,986	57,580,634	33,499,352

31 დეკემბერი, 2017 წ.	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრუ- ლებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	0-დან 12 თვემდე
ფინანსური ვალდებულებები				
პროცენტული სესხები (მე-18 შენიშვნა)	43,127,107	45,224,726	13,608,865	31,615,861
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (მე-19 შენიშვნა)	44,805,528	44,805,528	44,805,528	–
	87,932,635	90,030,254	58,414,393	31,615,861

როგორც ეს ცხრილიდან ჩანს, ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი ოდენობის ვალდებულებები, რომლებიც უნდა დაიფაროს 2018 წლის 31 დეკემბრიდან ერთი წლის განმავლობაში. ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების შეფასება უფრო დაწვრილებით განხილულია მე-4 შენიშვნაში.

(iv) კაპიტალის მართვა

ჯგუფი თავის კაპიტალის სტრუქტურას მართავს და მასში შეაქვს კორექტირებები ეკონომიკურ პირობებში ცვლილებების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორების მიზნით, ჯგუფმა შესაძლოა, დააკორექტიროს მფლობელისთვის გადახდილი დივიდენდი ან უკან დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელს.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

23. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკები (გაგრძელება)

(v) სამართლიანი ღირებულებები

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო. ყველა სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სამი დონის მიხედვით.

24. ცვლილებები ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	1 იანვარი, 2018 წ.	ფულადი ნაკადები	ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	31 დეკემბერი, 2018 წ.
პროცენტიანი სესხები	43,127,107	–	1,990,555	45,117,662
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ვალდებულებები, სულ	43,127,107	–	1,990,555	45,117,662

	1 იანვარი, 2017 წ.	ფულადი ნაკადები	ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	31 დეკემბერი, 2017 წ.
პროცენტიანი სესხები	43,728,697	(2,700,000)	2,098,410	43,127,107
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ვალდებულებები, სულ	43,728,697	(2,700,000)	2,098,410	43,127,107

25. ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

2019 წლის 12 თებერვალს ჯგუფმა გააფორმა ახალი 1,500,000 აშშ დოლარიანი სასესხო ხელშეკრულება მშობელ კომპანიასთან. სესხის ვადაა ერთი წელი. თანხები სრულად იქნა მიღებული 2019 წლის 26 თებერვალს.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

26. არაფულადი ოპერაციები

2018 წლის განმავლობაში შესყიდული ძირითადი საშუალებები მოიცავს გადახდილი ავანსების გამოყენებას გრძელვადიანი აქტივებისთვის 57,953 დოლარის (2017 წ.: 50,851 აშშ დოლარი) ოდენობით.

2018 წლის განმავლობაში, ჯგუფმა მოახდინა გარკვეული ძირითადი საშუალებების გასვლა, გადაფასების რეზერვთან ერთად 30,728 აშშ დოლარის (2017 წ.: 39,553 აშშ დოლარი) ოდენობით.

2018 წლის განმავლობაში სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებში მოძრაობა მოიცავდა ბუღალტრული აღრიცხვის ახალი სტანდარტის მიღების 52,290 აშშ დოლარიან ეფექტს (2.4 შენიშვნა).

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

26. არაფულადი ოპერაციები

2018 წლის განმავლობაში შესყიდული ძირითადი საშუალებები მოიცავს გადახდილი ავანსების გამოყენებას გრძელვადიანი აქტივებისთვის 57,953 დოლარის (2017 წ.: 50,851 აშშ დოლარი) ოდენობით.

2018 წლის განმავლობაში, ჯგუფმა მოახდინა გარკვეული ძირითადი საშუალებების გასვლა, გადაფასების რეზერვთან ერთად 30,728 აშშ დოლარის (2017 წ.: 39,553 აშშ დოლარი) ოდენობით.

2018 წლის განმავლობაში სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებში მოძრაობა მოიცავდა ბუღალტრული აღრიცხვის ახალი სტანდარტის მიღების 52,290 აშშ დოლარიან ეფექტს (2.4 შენიშვნა).

ქვეყანა ყაზახეთი

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N190522816



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

13.05.2019 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

თეა კიკუაშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქალაქი თბილისი, ლესელიძის ქ. #17

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

593235532, 2 93 30 83

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

53906741038919



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ცხრაშეტი წლის ცამეტ მაისს მე, ნოტარიუსი თეა კიკუაშვილი, რომლის სანოტარო ბიუროს მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. 17-ში, ვადასტურებ თარჯიმანი ქეთევან ყანჩაშვილის (დაბ. 14.09.1982, რეგისტრირებული: ქ. თბილისი, მუხიანი, მე-4 ა მ/რ, კორპ.1, ბ.43, პირადი # 01003009915, ბაკალავრის დიპლომი AB 0001886 გაც. 2003 წელს თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ) ხელმოწერის ნამდვილობას. მე, ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე, რომელმაც დაადასტურა თარჯიმნობის გამოცხადებული გარემოების არარსებობის შესახებ და რომ ჯეროვნად იცის ინგლისური ენა და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.


On the 13.05.2019 I, Tea Kikushvili, the notary whose Notary Bureau is located at Tbilisi, 17, Leselidze Street, certify the authenticity of the signature of translator Ketevan Kanchashvili (born on 14.09.1982, personal number 01003009915, residing at: Mukhiani 4a micro district, Building 1, Apt. 43; Bachelor's diploma AB 0001886 issued in 2003 by Tbilisi Ilia Chavchavadze State University of Language and Culture). I warned the translator that she is responsible for the accuracy of the translation. She confirmed that she properly knows the English language and ensures accuracy of the translation.


გადახდილია 252-00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 31-ე მუხლისა, ასევე დღგ 45.36 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა. ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2-00 ლარი, (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლისა. ორი ეგზემპლარისთვის

Fee paid 252-00 GEL, according to the Article 31st, resolution #507 dated 29.12.2011 adopted by Georgian Government about the fees, the rules of payment and approving the service terms determined for the Notary Chamber of Georgia and for the fulfillment of notary activities, also VAT 45.36 GEL, according to Article 169th of Georgian Tax Code (including VAT), also 2-00 GEL, according to the Article 39th resolution (dated 29.12.2011).

ნოტარიუსი

/თეა კიკუაშვილი





**2018 წლის შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ (შემდგომში - ჯგუფი) კონსოლიდირებული
მმართველობითი ანგარიშგება**

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ყაზტრანსოილი“ წარმოადგენს შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ (შემდგომში - ტერმინალი) 100% წილის პირდაპირ მესაკუთრეს, რომელსაც გააჩნია მართვის ექსკლუზიური უფლება შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურში“ (შემდგომში - პორტი) მონაწილეობის 100 % წილის მიმართ.

ტერმინალი

კომპანიის მთლიანი დასახელება: შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“.

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის ქუჩა #4.

ტერმინალი აწარმოებს ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და გაზის (აირის), ასევე მათი გადამუშავების პროდუქტების გადატვირთვის, ტრანსპორტირების, ექსპედირების, შეძენისა და რეალიზაციის მომსახურებას. ტერმინალის სიმძლავრეები იძლევა საშუალებას გადაიტვირთოს 22 სახეობამდე ნავთობი და ნავთობპროდუქტები 135 რეზერვუარის მეშვეობით, რომელთა საერთო მოცულობაა 599 ათას მ3-ზე მეტი. წლიური გამტარუნარიანობა შეადგენს 14 მლნ ტონაზე მეტს.

ტერმინალში მუშაობს 7 ჩამოსასხმელი სარკინიგზო ესტაკადა, რომლებსაც შეუძლიათ განახორციელონ ერთდროულად 200-მდე ან დღე-ღამეში 700-ზე მეტი ვაგონ-ცისტერნის ჩასხმა. ყველა ესტაკადა დაკავშირებულია მილსადენების სისტემებით სხვადასხვა სარეზერვუარო პარკთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ტერმინალის საექსპლუატაციო მოქნილობას. ერთ-ერთ ესტაკადაზე დანერგილია ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მძიმე და ბლანტი სახეობისთვის მრავალდონიანი გათბობის სისტემა. ტერმინალის ყველა სარკინიგზო ესტაკადა აღჭურვილია ჩამოსხმის მონაცემთა ელექტრონული აღრიცხვის საშუალებით.

ნავთობის ტანკერებში ჩასხმა ხორციელდება სამი პორტისაგან იჯარით აღებული მისადგომისა და გადასატანი სანავმისადგომო მოწყობილობით (უნაპირო ნავმისადგომი). უნაპირო ნავმისადგომი წარმოადგენს ტერმინალის უმსხვილეს ჩასატვირთ მოწყობილობას, რომელსაც შეუძლია ტანკერების მიღება სრული ტვირთმზიდაობით (დედვეიტით) 140 000 ტონამდე.

ტერმინალი წარმოადგენს პირველ და ერთადერთ ორგანიზაციას საქართველოში, რომელსაც გააჩნია 9 საერთაშორისო სერტიფიკატი ISO 9001, ISO 14001, OHSAS 18001, ISO/TS 29001, ISO 27001, ISO 50001, ISO/IEC 17025 საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად.

ნავსადგური

კომპანიის მთლიანი დასახელება: შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“.

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, ბაქოს ქუჩა #15.

ნავსადგურის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტვირთების ნომენკლატურის დიდი სპექტრის გადატვირთვა. ტვირთბრუნვის სტრუქტურაში ჭარბობს ნავთობის დატვირთვისა და მშრალი ტვირთების ტრანზიტი.

ნავსადგური ISO 9001, ISO 14001, OHSAS 18001 и ISO 50001 საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობაშია.

2. 2018 წლის ჯგუფის ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

ცხრილი 1. 2017-2018 წწ. ჯგუფის ძირითადი ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

№	დასახელება	განზ.ერთ.	ჯგუფი			
			2017 წ. ფაქტი	2018 წ. ფაქტი	გადახრა	% გადახრა
A	B	1	2	3	4=3-2	5=3/2
1	შემოსავლები, სულ	ათასი აშშ დოლარი	37 249	28 138	(9 111)	76%
1.1.	მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები და სხვა საოპერაციო შემოსავლები	ათასი აშშ დოლარი	31 043	27 143	(3 900)	87%
1.2.	დაფინანსებიდან მიღებული შემოსავლები	ათასი აშშ დოლარი	76	180	104	238%
1.3.	არასაოპერაციო შემოსავლები	ათასი აშშ დოლარი	6 130	815	(5 315)	13%
2	ხარჯები, სულ	ათასი აშშ დოლარი	49 115	41 393	(7 722)	84%
2.1.	გაწეული მომსახურების თვითღირებულება	ათასი აშშ დოლარი	29 419	24 887	(4 532)	85%
2.2.	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	ათასი აშშ დოლარი	11 152	5 636	(5 516)	51%
2.3.	ფინანსირების ხარჯები	ათასი აშშ დოლარი	2 098	1 991	(108)	95%
2.4.	არასაოპერაციო ხარჯები	ათასი აშშ დოლარი	6 445	8 879	2 434	138%
3	ზარალი გადასახადით დაზეგვრამდე	ათასი აშშ დოლარი	(11 866)	(13 255)	(1 389)	112%
4	კორპორაციული საშემოსავლო გადასახადის ხარჯები	ათასი აშშ დოლარი	137	0	(137)	0%
5	ზარალის საერთო ჯამი	ათასი აშშ დოლარი	(12 003)	(13 255)	(1 252)	110%
6	საშუალო რიცხოვნობა	ადამიანი	1 397	1 260	(137)	90%
7	შრომის მწარმოებლურობა	ათასი აშშ დოლარი /ადამიანი	22	22	(1)	97%

№	დასახელება	განზ.ერთ.	ტერმინალი			
			2017 წ. ფაქტი	2018 წ. ფაქტი	გადახრა	% გადახრა
A	B	1	2	3	4=3-2	5=3/2
1	შემოსავლები, სულ	ათასი აშშ დოლარი	16 939	12 840	(4 099)	76%
1.1.	მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები და სხვა საოპერაციო შემოსავლები	ათასი აშშ დოლარი	16 856	11 354	(5 503)	67%
1.2.	დაფინანსებიდან მიღებული შემოსავლები	ათასი აშშ დოლარი	12	1 371	1 359	11433%
1.3.	არასაოპერაციო შემოსავლები	ათასი აშშ დოლარი	70	115	45	164%
2	ხარჯები, სულ	ათასი აშშ დოლარი	29 966	27 136	(2 830)	91%
2.1.	გაწეული მომსახურების თვითღირებულება	ათასი აშშ დოლარი	18 934	14 514	(4 419)	77%
2.2.	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	ათასი აშშ დოლარი	8 111	3 571	(4 540)	44%
2.3.	ფინანსირების ხარჯები	ათასი აშშ დოლარი	2 427	2 130	(297)	88%
2.4.	არასაოპერაციო ხარჯები	ათასი აშშ დოლარი	494	6 920	6 426	1400%
3	ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე	ათასი აშშ დოლარი	(13 028)	(14 296)	(1 269)	110%
4	კორპორაციული საშემოსავლო გადასახადის ხარჯები	ათასი აშშ დოლარი	0	0	0	-
5	ზარალის საერთო ჯამი	ათასი აშშ დოლარი	(13 028)	(14 296)	(1 269)	110%
6	საშუალო რიცხოვნობა	ადამიანი	680	574	(106)	84%
7	შრომის მწარმოებლურობა	ათასი აშშ დოლარი /ადამიანი	25	20	(5)	80%

ჯგუფმა 2018 წელი დახურა წმინდა ჯამური ზარალით (-13 255) ათასი აშშ დოლარი, რაც 2017 წლის მაჩვენებელზე 1 252 ათასი აშშ დოლარით ნაკლებია.

ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ნეგატიური დინამიკა განპირობებულია ძირითადი საქმიანობიდან შემოსავლების 3 900 ათასი აშშ დოლარით შემცირებით.

ასევე შემოსავლების ნაწილში 5 315 ათასი აშშ დოლარით მცირდება არასაოპერაციო შემოსავლები, რაც განპირობებულია 2017 წელს ნავსადგურის მიერ გარე ორგანიზაციებისთვის მაზუთის რეალიზაციით.

თვითღირებულების ნაწილში ხარჯები შემცირდა 4 532 ათასი აშშ დოლარით , რაც განპირობებულია ხარჯების ოპტიმიზაციის ღონისძიებებით.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2017 წელთან შედარებით შემცირდა 5 516 ათასი აშშ დოლარით, რაც განპირობებულია ასევე ხარჯების ოპტიმიზაციის ღონისძიებებით.

არასაოპერაციო ხარჯები გაიზარდა 2 434 ათასი აშშ დოლარით გაზრდა. მოცემულ დანახარჯებში ასახულია, ჯგუფის კომპანიების გაუფასურების, ძირითადი საშუალებების ჩამოწერის და საკურსო სხვაობის ხარჯები.

3. 2018 წლის ჯგუფის საქმიანობის სოციალური მიმართულებები

ჯგუფში ფართოდ არის განვითარებული სოციალური მიმართულება, რომელიც ეხება როგორც თანამშრომლებს, ასევე სპონსორულ და საქველმოქმედო დახმარებასთან დაკავშირებულ მიმართულებას.

სოციალური სფეროს ნაწილში ჯგუფი უზრუნველყოფს თანამშრომლებს უფასო კვებით. ასევე ჯგუფის ყველა თანამშრომელს გაფორმებული აქვს სამედიცინო დაზღვევა ჯგუფის ხარჯზე. სპონსორულ და საქველმოქმედო დახმარების ნაწილში ტერმინალი ასპონსორებს საქველმოქმედო სასადილოს, სადაც ყოველდღე იკვებება 155 ადამიანი საზოგადოების სოციალურად დაუცველი ფენიდან. ბიუჯეტში ფულადი სახსრების არსებობისას ჯგუფის კომპანიები ყოველწლიურად უწევენ თანადგომას ბავშვთა სახლების აღსაზრდელებს, მოხუცებულთა თავშესაფრებსა და სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

4. ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის საკითხებში ტერმინალის საქმიანობა

კომპანიაში ფუნქციონირებს საკუთარი HSE სამსახური - შრომის დაცვის, საწარმოო უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის განყოფილება, რომლის ფუნქციებში შედის გარემოს დაცვის შესახებ სახელმწიფო კანონების კონტროლი და შესრულების უზრუნველყოფა.

განყოფილება ყოველკვარტალურად გადის კომპანიის საქმიანობის აუდიტორულ შეფასებას ქვემოთ ჩამოთვლილი საქართველოს კანონებისა და ქვენორმატიული აქტების შესაბამისობაზე:

“გარემოს დაცვის შესახებ”, “გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი”, „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, „წყლის შესახებ“, „ნიადაგის დაცვის შესახებ“, „კოდექსი ნარჩენების მართვის შესახებ“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, „კოლხეთის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“, „წიადის შესახებ“, „მტირალას ეროვნული პარკის შესახებ“, „საზღვაო-სამაშველო სამსახურის შესახებ“, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, „საქართველოს საზღვაო კოდექსი“, „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“, „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“, „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“, „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, „საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ“, „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“, „რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ“, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, „კურორტებისა და საკურორტო ადგილების ნუსხის შესახებ“, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, „კურორტებისა და საკურორტო ადგილების ნუსხის შესახებ“, ასევე, საქართველოს მთავრობის და სამინისტროს მიერ გაცემული ქვენორმატიული აქტები გარემოს დაცვის სფეროში.

მმართველი დირექტორი

ეკონომიკისა და ფინანსურ საკითხებში

დ.მუსლიმოვ

შემსრულებელი

საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი

დ. მეგრელიშვილი

თარიღი: 31 ივლისი 2019

3. 2018 წლის ჯგუფის საქმიანობის სოციალური მიმართულებები

ჯგუფში ფართოდ არის განვითარებული სოციალური მიმართულება, რომელიც ეხება როგორც თანამშრომლებს, ასევე სპონსორულ და საქველმოქმედო დახმარებასთან დაკავშირებულ მიმართულებას.

სოციალური სფეროს ნაწილში ჯგუფი უზრუნველყოფს თანამშრომლებს უფასო კვებით. ასევე ჯგუფის ყველა თანამშრომელს გაფორმებული აქვს სამედიცინო დაზღვევა ჯგუფის ხარჯზე. სპონსორულ და საქველმოქმედო დახმარების ნაწილში ტერმინალი ასპონსორებს საქველმოქმედო სასაღილოს, სადაც ყოველდღე იკვებება 155 ადამიანი საზოგადოების სოციალურად დაუცველი ფენიდან. ბიუჯეტში ფულადი სახსრების არსებობისას ჯგუფის კომპანიები ყოველწლიურად უწევენ თანადგომას ბავშვთა სახლების აღსაზრდელებს, მოხუცებულთა თავშესაფრებსა და სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

4. ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის საკითხებში ტერმინალის საქმიანობა

კომპანიაში ფუნქციონირებს საკუთარი HSE სამსახური - შრომის დაცვის, საწარმოო უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის განყოფილება, რომლის ფუნქციებში შედის გარემოს დაცვის შესახებ სახელმწიფო კანონების კონტროლი და შესრულების უზრუნველყოფა.

განყოფილება ყოველკვარტალურად გადის კომპანიის საქმიანობის აუდიტორულ შეფასებას ქვემოთ ჩამოთვლილი საქართველოს კანონებისა და ქვეწარმადი აქტების შესაბამისობაზე:

„გარემოს დაცვის შესახებ“, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, „წყლის შესახებ“, „ნიადაგის დაცვის შესახებ“, „კოდექსი ნარჩენების მართვის შესახებ“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, „კოლხეთის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“, „წილის შესახებ“, „მტირალას ეროვნული პარკის შესახებ“, „საზღვაო-სამაშველო სამსახურის შესახებ“, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, „საქართველოს საზღვაო კოდექსი“, „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“, „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“, „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“, „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, „საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ“, „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“, „რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ“, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, „კურორტებისა და საკურორტო ადგილების ნუსხის შესახებ“, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, „კურორტებისა და საკურორტო ადგილების ნუსხის შესახებ“, ასევე, საქართველოს მთავრობის და სამინისტროს მიერ გაცემული ქვეწარმადი აქტები გარემოს დაცვის სფეროში.

მმართველი დირექტორი

ეკონომიკისა და ფინანსურ საკითხებში



დ.მუსლიმოვ

შემსრულებელი

საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი

დ. მეგრელიშვილი

თარიღი: 31 ივლისი 2019

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „ბათუმის ნავთობ ტერმინალის“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას,

შპს „ბათუმის ნავთობ ტერმინალის“ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 28 მარტს გაცემულ ჩვენს დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავგიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



რუსლან ხოროშვილი,

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 5 სექტემბერი

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს
კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული
ანგარიში**

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ 2018 წლის დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 28 მარტს გაცემულ ჩვენს დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავვითარებთ წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

რუსლან ხოროშვილი,

შპს „იუაი“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 5 სექტემბერი